№ 161

შაბათი, 10 სექტემბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში „10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დაუბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წერილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверiа".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 161

შაბათი, 10 სექტემბერი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ნატალია თომას ასული ნანობაშვილისა და შვილები მისი: **ნინა, ანნა, ალექსანდრე, მიხეილი** და **ირაკლი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 6 სექტემბერს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ **გარდაიცვალა** პირველის დაუვიწყარი მეუღლე და დანარჩენების მამა, რკინის გზის ეკლესიის მღვდელი

მ. იროდიონი ნანობაშვილი

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზედ განსვენებულის სახლში: მიხეილის პროსპექტი № 199. მიცვალებულის გამოსვენება შაბათს, 10 სექტემბერს დილის 9½ საათზე დიდუბის ეკლესიაში, სადაც მოხდება დაკრძალვა.

1 ენკენისთვიდან ქუთაისის სამეურნეო ამხ.

„კოლხიდა"-ს კანტორა გადავიდა **ზაქარია კოკოჩაშვილის** სახლებში, ალექსანდროვის ქუჩაზე, ქალაქის ბაღის მ.ხლობლად.

აქვე დაარსდა

ჟურნალ-გაზეთების კანტორა

სადაც იყიდება ცალკე ნომრობით ყველა ქართულ-რუსული ჟურნალ-გაზეთები და მიიღება იმათზე ხელის მოწერა. 3—2

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ჟ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

[illegible] 1—1½ [illegible] ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ხ. ქ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—8 საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულ გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардiана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლოზის (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21 კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნი და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18.—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ექვთიმე ვაშაკიძე—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

გლეხობა და სოციალ-ეკონომიური იდეალი.

ბ-ნი გ. რ. ერთგვარ ტაქტიკას ადგია საკამათო საკითხის გამორკვევის დროს: ის ცდილობს, მოპირდაპირე სიტყვაში დაიჭიროს, ამავე დროს თავისდა შეუმჩნევლად სრულებით იცვლის საკამათო პოზიციას და ერთი ნიადაგიდან მეორეზე გადადის. ამიტომ მე საჭიროდ მიმაჩნია, ერთხელ კიდევ მივუთითო ბ-ნ გ. რ—ს ჩვენს საკამათო საგანზე და ვთხოვო, რომ ამ საგანს არ ასცდეს ხოლმე. თუ როგორ და სად ასცდა ის ამ საგანს, ამას ქვევით დავინახავთ.

როდესაც მე გამოვთქვი ჩემი აზრი, „ჩვენი გლეხობა კარგ ნიადაგს წარმოადგენს სოციალისტურ აზრებისათვის მეთქი, ბ-ნმა გ. რ. მიპასუხა: მარქსის თეორიას ეს არ ეთანხმება, რადგანაც ამ თეორიით მდგომარეობა ჰქმნის შეგნებას და არა შეგნება მდგომარეობასო. როდესაც ამის შესახებ მე ვთქვი: გლეხის მდგომარეობა არ ეწინააღმდეგება სოციალიზმის შეგნებას, რადგანაც გლეხი ისევე იყვლიფება სოფელში, როგორც ქალაქში ქარხნის მუშა, და ის გარემოება, რომ გლეხი კერძო საკუთრებას ჩაბღაუჭებია, მხოლოდ აფერხებს ამ შეგნებას და, რაკი გლეხი დარწმუნდება, რომ სოციალიზმი მისთვის სასარგებლოა, კიდეც დაადგება ამ გზას-მეთქი, აი სწორედ აქ ცდილობს ბ-ნი გ. რ., სიტყვაში დამიჭიროს და სწერს: ბ-ნ გომართელს მატერიალისტობა და ისტორიის მატერიალისტური შეგნება ორივე ერთი ჰგონია, ეკონომიური მატერიალიზმი ისეთ მოძღვრებადა აქვს წარმოდგენილი, რომელიც ამბობს, ყველა თავის სარგებლობას მისდევსო, და სხვ. ბოლოს ხსნის ამ მოძღვრების დედა აზრს და დასძენს: ამ მოძღვრებით ცვლილება იდეალებისა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ცვლილება ხდება წარმოებაშიო.

შევჩერდეთ აქ. რაზე გვითითებს აქ ავტორი, ე. ი. რა პოზიციაზე დგას ის ამ შემთხვევაში? იმაზე, რომ მარქსის აზრით გენეზისი, ანუ წარმოშობა ახალი იდეისა [illegible] ბის შესაფერად შეცვლაზე. ჩვენი საკამათო საკითხი სრულებით სხვა იყო,—მე არსად არ შევხებივარ იდეის წარმოშობას, ჩვენ სულ სხვა რამე გვაქვს გამოსარკვევად და აი, რა. სოციალიზმის იდეა უკვე წარმოიშვა დიდიხანია, საიდან და როგორ წარმოიშვა, ეს ჩვენი საკამათო საგნის გამორკვევას სრულებით არ შეეხება; სოციალიზმისათვის მებრძოლნი უკვე დიდიხანია არსებობენ, გამოსარკვევი მხოლოდ ის არის: შესაძლებელია, რომ ეს იდეა სხვებმაც შეიგნონ და გაჰყვნენ მის მატარებლებს, თუ არ არის შესაძლებელი მატერიალისტური მოძღვრებით.

ამგვარად საკამათო საგანი ის კი არ არის, თუ როგორ იბადება ახალი იდეა მარქსის თეორიით, არამედ მხოლოდ ის, თუ ვის შეუძლიან, მიიღოს ის იდეა, რომელიც უკვე წარმოიშვა სხვების მიერ და რომელსაც უკვე ანხორციელებენ სხვები. მე ვამტკიცებდი და ვამტკიცებ, რომ ყველა გაყვლეფილს შეუძლიან ამ იდეის შეგნება და მისკენ მისწრაფება, შეუძლია გლეხსაც, როგორც გაყვლეფილს.

როდესაც ბ. გ. რ-ი ამტკიცებს, მარქსის მოძღვრებით წვრილი წარმოების ნიადაგზე სოციალიზმი ვერ დაიბადებაო, იმის შესახებ კამათი და ქაღალდის აჭრელება მე სრულებით არ მომსვლია აზრად. შეცდომაში თვითონ ბ-ნი გ. რ-ი შევიდა მით, რომ საკამათო ნიადაგი სრულებით შესცვალა და უკვე წარმოშობილი იდეის შეგნებას იდეის წარმოშობის თეორია გადააფარა თავზე. ეჭვს გარეშეა, გლეხობა, როგორც წვრილი მესაკუთრე, სოციალიზმის იდეას თვითონ, თავის გულიდან ვერ წარმოშობავდა, და ეს არც მე მითქვამს,—ხოლო საქმე იმაშია, რომ ეს იდეა უკვე არსებობს ცხოვრებაში და მარქსი არსად არ ამბობს იმას და არც ენგელსი, რომ როდესაც პროლეტარიატი უკვე არსებობს და შეგნებულად იბრძვის სოციალიზმის დასამყარებლათ, გაყვლეფილი გლეხობა არაოდეს არ გაჰყვება უკან პროლეტარიატსა ამ ბრძოლაშიო. მატერიალისტური მოძღვრებით იდეა სოციალიზმისა მხოლოდ პროლეტარიატში დაიბადა, განსაზოგადოებულ წარმოების ნიადაგზე, ხოლო ჩემის შეხედულებით, ამ მოძღვრებას სრულებით არ ეწინააღმდეგება ის აზრი, რომ შესაძლებელია პროლეტარიატს გარდა, ხალხის სხვა გაყვლეფილმა ნაწილებმაც შეიგნონ სოციალიზმის სარგებლობა და მისთვის მებრძოლთ გაჰყვეს უკან.

ვიმეორებ, ამგვარ შეგნებაში ძალა და მნიშვნელობა სწორედ სარგებლობის დანახვას აქვს: გლეხმა თავის განკერძოებულ, ინდივიდუალურ წარმოების ნიადაგზე შეჰქმნა იდეა კერძო საკუთრების უმაღლესის სამართლიანობისა, როგორც ამას ბ-ნი გ. რ. ამბობს. ამას იქით გლეხი ვერაფერს ვერა ხედავს, მაგრამ აი, დაიბადა სხვა-გვარი იდეა, გლეხის აზროვნებასა და მისწრაფებას გვერდით ამოუდგა პროლეტარიატის აზროვნება და მისწრაფება. ამ შემთხვევაში,—და მე მხოლოდ ეს უკვე არსებული ფაქტი მაქვს სახეში,—ადვილი შესაძლებელია, გლეხმა ადრე თუ გვიან შეიგნოს, რომ სოციალიზმი უფრო სასარგებლოა მისთვის, ვიდრე არსებული წყობილება, და გაჰყვეს უკან პროლეტარიატს. მარქსი თუ პირდაპირ ამის შესახებ არსად არ ლაპარაკობს, არც არღვევს ამ აზრს არსად, ენგელსს-კი თავის „საგლეხო საკითხში" შესაძლებლად მიაჩნია, რომ გლეხობა პროლეტარიატს ამოუდგეს გვერდში. და ბ-ნ გ. რ-ის მთელი არგუმენტაცია მხოლოდ იდეის წარმოშობას შეეხება და არა ჩემ მიერ წამოყენებულ საკითხს უკვე არსებულ იდეის შეგნებისას.

რაც შეეხება რომისა და საბერძნეთის მონებს, რომლებმაც სოციალიზმი ვერ შეიგნეს, ამის შესახებ აი, რას ვუპასუხებ ბ. გ. რ—ს. მაშინ რომ ყოფილიყო ისეთი კლასი, რიმელიც სოციალიზმის გზას, დაჰდგომოდა მონები კი მას არ გაჰყოლოდნენ უკან, ეს იქნებოდა საუკეთესო დამამტკიცებელი ფაქტი ჩემის აზრის სიყალბისა. მაგრამ ამგვარი ფაქტი ისტორიაში არ არსებობს. სარგებლობა სოციალიზმის იდეას, რასაკვირველია, ვერ წარმოშობავს და არც ვუმტკიცებდი მე ამას არავის, ხოლო სარგებლობის შეგნებას შეუძლიან ხალხი მიაკედლოს ამა თუ იმ უკვე წარმოშობილ იდეას. ბ-ნი გ. რ. წინდაწინვე მოელოდა ამგვარ ჩემ განმარტებას და ამიტომ წინდაწინვე მიპასუხა: კაუტსკისა და ვანდერველდეს აზრით, სოციალიზმი კაპიტალისტებისათვისაც იქნება სასარგებლო და მაშ რა მიზეზია, რომ ქვეყანა თავის სარგებლობას ვერა ჰხედავს და კლასთა ბრძოლა თანდათან უფრო მკაცრ სახეს იღებსო. მიზეზი ის არის, თუ ბ-ნ გ. რ—ს სურს გაიგოს, რომ სოციალიზმში კაპიტალისტები ვერას გზით ვერ დაინახავენ თავის სარგებლობას, რამდენიც უნდა უმტკიცონ ეს კაუტსკიმა და ვანდერველდმა. კაპიტალისტის მთელი სარგებლობა, კაპიტალისტის მთელი არსებობა ექსპლოტაციაზე არის დამყარებული. სოციალიზმი კი გაუქმება არის ექსპლოტაციისა. ამით სო[illegible] სარგებლობის უმთავრეს პირობას, უპირველეს ნიადაგს სრულიად სპობს, და კაუტსკიმ რომ უმტკიცოს, გულს ნუ გაიტეხ, ეს შენი სასარგებლოა, განა ამით მოტყუვდება კაპიტალისტი?

ეჭვს გარეშეა, ექსპლოატაციის მოსპობა სასარგებლოა ყველა გაყვლეფილთათვის, ყველა ღარიბ-ღატაკებისათვის, ხოლო კაპიტალისტებისათვის ეს საზარალოა. ეჭვს გარეშეა, სოციალიზმი სასურველი და სასარგებლოა ხალხის უმრავლესობისათვის, ხოლო მსხვილ ბურჟუაზიისათვის ეს საზარალოა და ამიტომ ებრძვის ის ასე მედგრად პროლეტარიატს; ამ ბრძოლაში ბურჟუაზია სრულებით შეგნებულად მოქმედობს, მან კარგათ იცის, სად არის მისი საკუთარი სარგებლობა.

რას მისცემს მას სოციალიზმი? ჩამოართმევს მას სიმდიდრეს, ჩამოართმევს გამდიდრების საშუალებას, მიუჩენს მისი ნიჭისა და ცოდნა-გამოცდილების შესაფერ საქმეს და იმის ძველებურ კომფორტს, ძველებურ ფუფუნებას სრულებით გააუქმებს. ერთი მითხარით რომელი წყობილებაა კაპიტალისტისათვის უფრო სასარგებლო? რასაკვირველია, პირველი და რამდენადაც უფრო შეგნებული აქვს მას თავისი სარგებლობა, იმდენად უფრო დაუძინებელი მტერია ის სოციალიზმისა. კაუტსკი და ვანდერველდე ვერ დაუმტკიცებენ კაპიტალისტს მას, რის დამტკიცებაც შეუძლებელია.

სოციალიზმის სარგებლობის შეგნების მხრით გლეხსა და კაპიტალისტს შორის რაიმე შედარება ყოვლად შეუძლებელია და ეს გარემოება ჩემმიერ წამოყენებულ საკითხს კი არ არღვევს, როგორც ეს ბ-ნ გ. რ—ს ჰგონია,—პირიქით, უფრო ამტკიცებს: სოციალიზმი ვერც გლეხობაში დაიბადებოდა და ვერც კაპიტალისტებში, სხვაგან რომ არ დაბადებულიყო; სოციალიზმის იდეა დაიბადა შესაფერ წარმოების ნიადაგზე; ხოლო როცა იდეა უკვე არსებობს და არსებობს ბრძოლა ცხოვრებაში იმის განსახორციელებლად, კაპიტალისტები მიტომ ვერ მიემხრობიან სოციალიზმს, რომ ეს მათს სარგებლობას ეწინააღმდეგება, გლეხობა კი ადრე თუ გვიან მიემხრობა, რაკი შეიგნებს, რომ ამგვარი წყობილება მისთვის უფრო სასარგებლოა, ვიდრე არსებული; ამგვარ შეგნებას არც გლეხის მდგომარეობა უარჰყოფს, მხოლოდ აფერხებს, — არც ისტორიული მატერიალიზმი უარჰყოფს. ისტორიული მატერიალიზმი უარჰყოფს მხოლოდ რაიმე სრულებით ახალ იდეის წარმოშობას წარმოების შესაფერ ნიადაგის გარეშე; უკვე არსებულ იდეის მისაღებათ კი აუცილებლად იმ იდეის შესაფერ წარმოებაში ყოფნა კი არ არის ყოველთვის საჭირო, არამედ ამ იდეის სარგებლობის შეგნებაც კმარა. ეს იყო და ეს არის ჩემი აზრი.

როცა ბ-ნი გ. რ—ი სწერს: ბ-ნ გომართელს შესაძლოდ მიაჩნია, რომ გლეხმა ეხლავე შეიგნოს და შეითვისოს სოციალიზმის აზრებიო, აქ პატარა შეცდომაა. მე ვხედავ, რომ კერძო საკუთრების ნიადაგზე ყოფნა აფერხებს გლეხის სოციალისტურ შეგნებას, მისი ექსპლოატაცია კი ხელს უწყობს ამგვარ შეგნებას, ამიტომ მე ვადას არ ვუდებ, თუ როდის მოხდება ამგვარი შეგნება,—მე მხოლოდ ეს შესაძლოდ მიმაჩნია.

ი. გომართელი.

უნივერსიტეტები და სამინისტრო.

დადგა შემოდგომა და ჩვენი ახალგაზდობაც ამოძრავდა, დაიძრა იგი უმაღლეს სასწავლებლისკენაც. როდესაც იკეტებოდა უმაღლესი სასწავლებლები, როდესაც ახალთაობა შავი ქირივით გაურბოდა სასწავლებელს და „გაფიცვასა" და „ბოიკოტს" უცხადებდა უნივერსიტეტის არსებულს რეჟიმს, ყველა იმას ამბობდა, რომ ამ წესწყობილებაში ყოვლად შეუძლებელია მშვიდობიანი და დაწყნარებული მეცადინებაო და სანამ ძირითადი ცვლილებანი არ მოხდება, სასწავლებელს აღარ დავუბრუნდებითო. ასეც მოიქცა რუსეთის მოზარდი თაობა და იანვრის აქეთ უნივერსიტეტის კერა გაცივდა, უნივერსიტეტის სასიცოცხლო მაჯის ცემა შესწყდა...

დღეს, როგორც სატახტო გაზეთები გადმოგვცემენ, მთავრობამ შესაძლებლად სცნო დათმობის პოლიტიკას დასდგომოდა და უნივერსიტეტის კრებაზე სიცოცხლის გასაღვიძებლადა და ახალგაზდობის შესარიგებლად ახალი დროებითი წესები შეემუშავებინა.

როგორც ყოველთვის, ამ საქმეშიაც გარკვეული და უტყუარი საქმის ვითარება არავინ იცის და ჩვეულებრივ მომაკვდავთათვის საზღაპრო საიდუმლოებას შეადგენს. მხოლოდ ერთია ცხადი და ყველას მიერ ცნობილი: მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტის კარები დაიკოლა, მთავრობამ გამოაცხადა: ახალთ-ახალ წესდებას შევიმუშავებ უნივერსიტეტისთვისაო... გავიდა თვე, ორი, რვა და აგერ დღესაც ეს ახალი წესდება ისევ სა[illegible] ბიუროკრატიულს, [illegible]...

რუსეთის გაქსუებული, გულ-აცრუებული პრესა ეჭვის თვალითა და უიმედოდ უყურებს ამ ახალ საუნივერსიტეტო წესდებას...

საზოგადოებას კბილები მოსჭრა ეგოდენმა ლოდინმა, ცდამ, მთავრობის ხელპირში ცქერამ.

თვითონ სამინისტრო სწერდა: „ვინაიდან აუარებელი და თვალსაჩინო უვარგისობანი არსებულის უნივერსიტეტისა ცალ-ცალკე ყოვლად შეუძლებელია მოისპოს, ამისთვის გადაწყვეტილია, უმაღლეს სკოლის ძირითად რეორგანიზაციას შევუდგეთო".

ეს 1901 წელს გამოაცხადა სამინისტრომ. მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი ქაღალდი მიემატა ძველს არხივს და უნივერსიტეტი კი ისევ ის თომაა, ისევ ის ქურქი ასხია!..

ამ წლის იანვარში იგივე სამინისტრო აცხადებდა: „მიმდინარე სამოსწავლო წლის განმავლობაში მომხდარმა უწესოება-არეულობამ, რომელმაც უმაღლეს სასწავლებლებშიაც იჩინა თავი, დაგვარწმუნა, რომ ყოვლად შეუძლებელია დღევანდელ დონეზე დარჩენა. ამის გამო გადავსწყვიტეთ უნივერსიტეტში დაუყოვნებლივ მოვახდინოთ ძირითადი ცვლილებანიო"...

ეს გახლდათ იანვარში!.. მაგრამ... მაგრამ ეს საქმე დღესაც შეჩერებულია და ვერავინ ვერ გამოიცნობს, რა ზომებითა სურს სამინისტროს განახლებულ სამოსწავლო წელს „მშვიდობიანობისა და წესიერების" დამყარება უნივერსიტეტებში...

ეს „სამალულაო" წესდების შედგენა, რომლითაც სამინისტრო რუსეთის ახალგაზდობას ბედნიერებას უპირობს, დაკეტილ ოთახში, გარეშეთა კი არა, თვით პროფესორთა დაუსწრებლად შემუშავდა თურმე. პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორმა ჟდანოვმა გამოამჟღავნა, რომ ამ ამბავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასაც კი უმალავენო... მაშ ალბად არც პროფესორებს ენდობა სამინისტრო, ესენიც არა-საიმედონი ყოფილან...

მაგრამ პროფესორებმა დღეს მაინც ისწავლეს თავისი ყადრი და მთავრობის ღირსეული დაფასება...

ასეა თუ ისე, ამ ,,ახლო'' ხანში სამინისტრო გამოამზეურებს თავის ახალ წესდებას და მას ხალხიც ღირსეულად შეეგებება...

ამისდა მიუხედავად, პროფესორთა საერთო კრებამ დაადგინა, ლექციების კითხვა სექტემბრის პირველებშივე დაიწყონ...

ეჭვი არ არის, ამ გადაწყვეტილებას რამდენიმე განსაზღვრული და გარკვეული პირობები წაუმძღვარეს... თუმცა არც ეს მოსაზრებანია გამომჟღავნებული. თუმცა, თქმა არ უნდა, პროფესორებს არ დაავიწყდებოდათ, რომ „ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი უნდა "...

ამ ბოლო დროს პროფესორების და სტუდენტობის შერიგება და შეთანხმებაც მოხდა... ალბად პროფესორებმა მიაგნეს თავის ადგილს და მოვალეობას ახალთაობის წინაშე...

ცხადია, ასეთი „ბლოკი" ერთის მხრივ „სასიამოვნოა, მაგრამ ურიგო არ იქნებოდა ამ ერთობაში" გარეშე ძალებიც მიეზიდნათ და პროფესურა, სტუდენტობა და საზოგადოება ხელჩართულად შესდგომოდნენ ახალ საქმეს... მით უმეტეს, რომ თუ როდისმე ახალგაზდობის გულისთქმა სოციალურსა და პოლიტიკურ საკითხებს დაჰფარფატებდა, მით უმეტეს იგი ზედ ეგლისება დღეს... ამისთვის უნდა საძირკვლიანად დაინგრეს ის ზღუდე, რომელიც საზოგადოებისა, მოზარდ თაობისა და პროფესურას შუა აღმართულა... მხოლოდ თავისუფალი, დაუბრკოლებელი და პირდაპირი დამოკიდებულება საზოგადოებასთან და საზოგადო ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება შეაძლებინებს ახალთაობას საზოგადოების ნამდვილ წევრებად აღიზარდნენ.

უპირველესად საჭიროა გაერთიანებული კრება.. მაგრამ, როგორც „ს. ოტ." იუწყება, მოსკოვის უნივერსიტეტში, 2 სექტემბერს ჰსურდათ სტუდენტებს თავის მოყრა და საკითხის გადაწყვეტა: შევუდგეთ თუ არა სწავლას? თუ შევუდგეთ, რა პირობებით?.. მაგრამ პოლიციამ განკარგულება მოახდინა უნივერსიტეტის კარი ამ დღეს დაკეტილიყო... როგორც სჩანს სამინისტროს მიერ შემუშავებული ახალი „დროებითი" წესდება ძალიან არ გასცილებია წინანდელ წესებს და საქმეც არსებითად არ შეცვლილა... (ნ. ჟ.).

ნ...

რუსეთის პრესსა და კავკასიის ამბები

თუმცა რუსეთს იაპონიაში ელჩებიც ჰყავნდა, ათასნაირი აგენტებიცა და გასაკუთრებით ამ ქვეყნის შესასწავლად გაგზავნილი კაცებიც, მაგრამ დაიწყო თუ არა ომი, რუსეთმა საქვეყნოდ აღიარა, რომ ის არც იაპონიის ჯარის ნამდვილ ძალას იცნობდა, არც იაპონიის ეკონომიურ შეძლებას და არც მის შინაურ მდგომარეობას. თუმცა რუსეთი სამი წლის განმავლობაში მან- [illegible] მანჯურიის გზები იცოდნენ, არც მთები და არც არაფერი. თუმცა რუსეთს ასი წელიწადია, რაც კავკასია უჭირავს, ასი წელიწადია, რაც მისი ბიუროკრატია კავკასიელებს განაგებს, „განათლება შემოაქვს", აქაურობას სწავლობს, მაგრამ მაინც აღმოჩნდა, რომ რუსეთი კავკასიას არ იცნობს. ამას ახლა მთელი რუსეთი აღიარებს, მაგრამ გვიანღაა: გზა მაშინ გამოჩნდება ხოლმე, როცა ურემი გადაბრუნდებაო.

ყველა, ვინც კი რუსეთში ყოფილა, ან ვისაც იქიდან ახლად ჩამოსულ რუსთან ჰქონია საქმე, დარწმუნდებოდა, რომ რუსეთის საზოგადოებამ სრულიად არაფერი, ან თითქმის არაფერი არ იცის კავკასიაზე. ხშირად ყოფილა, რომ უმაღლეს და საშუალო სწავლით აღჭურვილთ ცნობის მოყვარეობით უკითხავთ ქართველისთვის, ქართველები თათრულად ლაპარაკობენ თუ სპარსულათაო, ან—ქართველები მაჰმადიანები არიან, თუ ქრისტიანები, ან—ქართველებს თავიანთი ლიტერატურა, ისტორია და ენა აქვთ, თუ არაო. ამათ ვიღასგანაც და სადღაც გაუგონიათ, რომ კავკასია მშვენიერი ქვეყანაა, რომ კავკასიაში მაღალი მთებია, რომ იქ მთიულები ცხოვრობენ, რომელნიც ერთმანეთს ბუზებივით ხოცავენ, ძარცვავენ და განცხრომით ცხოვრობენ.

ახლა კი უცებ აღმოჩნდა, რომ კავკასიაშიაც რაღაც მოძრაობა ყოფილა, რომ კავკასიელთაც მოქალაქობრივ ცხოვრების გემო სცოდნიათ. მას აქეთ, რაც გურიის მოძრაობა დაიწყო, რუსეთის გაზეთები განუწყვეტლივ კავკასიაზე სწერენ და ისე მსჯელობენ, თითქო აქაური საქმეები ხუთი თითივით იცოდნენ. ნამდვილად კი რუსეთის პრესსაში ხშირად შეხვდებით ისეთ დამახინჯებულ და არეულ-დარეულ ცნობებს კავკასიის შესახებ, რომ კითხულობთ და არ გჯერათ, რომ ამას სწერენ რუსეთში, სწერენ ისინი, ვინც თავიანთ თავს დიდის რიხითა და ყოყოჩობით რუსეთის ისტორიისა და პოლიტიკურ ცხოვრების მცოდნედ აცხადებენ. „მოსკოვ. ვედ."-ი სწორედ რამდენიმე დღის წინად გამოაცხადა, რომ ქართველი სოციალ დემოკრატები სეპარატისტები არიან და საქართველოსთვის მეფეს თხოულობენო.

მაგრამ, საზოგადოდ განაპირა ქვეყნებისა და კერძოდ-კავკასიის ცხოვრებისა და მის საჭიროების ცოდნას „მოსკ. ვედ."-ის გარდა ვერც სხვა გაზეთები დაიკვეხავენ. ამ საკითხის გარკვევას ცდილობს გაზეთი „რაზსვეტი", რომელიც რუსეთის გაზეთებში კავკასიის ამბებს ყველაზე მეტ ყურადღებას აქცევს. ზემოხსენებულ გაზეთში სერგეი სოლომინი საინტერესო წერილს უძღვნის აქაურ ამბებს ,,კავკასიის დრამას'' სათაურით. ,,მას შემდეგ, რაც თებერვალს ბაქოში ამბები მოხდა, კავკასიაში განუწყვეტლივ აჯანყების ცეცხლი ანთიაო. ცეცხლი ხან ოდნავ ღვივის, ხან კიდევ ბობოქრობს და გუგუნებს. ახლა კი ცხადია, რომ სარევოლუციო გრიგალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელ კავკასიას მოედება, მისი მშვიდობიანურ გზით მოსპობა შეუძლებელი არისო. კავკასიის ახლანდელ მდგომარეობას მის პირველ დაპყრობას ადარებენ, მაგრამ მიმგვანება მხოლოდ გარეგნულია: მაშინაც ჯარს გზავნიდნენ და თოფზარბაზანს ისროდნენ და ახლაც გზავნიან და ისვრიან. მაგრამ მაშინ უცხო ქვეყნის დაპყრობა იყო, ახლა კი ცეცხლი რუსეთის მხოლოდ ერთ კუთხეს მოედო. კავკასიის დრამა—მეტად რთული მოვლენაა. საეჭვოა, რომ ადგილობრივ მცოდნემაც გაიგოს რამე ამ ქვეყნისა. კავკასიის შესახებ დაწერილ წერილებიდანაც და ნალაპარაკევიდანაც გარეშე და მიუდგომელი მაყურებელი ვერაფერს გაიგებს. მაგრამ უბედურება ის არის, რომ კავკასიის შესწავლის დრო აღარ არის და ამიტომ ძალაუნებურად ვეკითხებით ჩვენ თავს: მაშ რა ვქნათ, რა ვუყოთო?

კავკასიას ყოველ მხრიდან მოეკიდა ცეცხლი. ნავთის მრეწველობა დაიღუპა და ადვილი შესაძლებელია, რომ უცხოელები თავიანთ ქვეშევრდომთა დასაცველად საქმეში ჩაერიონ. ეროვნული ზღვა ღელავსო, მუშათა მოძრაობა საშინლად გამწვავდა და არც აგრარიულ მოძრაობას ეღება ბოლო.

ამ აღელვებულ და აბობოქრებულ ზღვის იქით მოსჩანს გაბრაზებული ხალხი, რომელიც რუსეთს უთვლისო მუქარას. ისმის შემზარავი ხმა, ხმა სიძულვილისა და ზიზღისა მათდამი, ვინც ეს მშვენიერი და უმდიდრესი ქვეყანა ეროვნულ შუღლის მორევში ჩააგდო და იმ მდგომარეობამდის მიიყვანა, რომ მშვიდობიანი და კულტურული ცხოვრება ამიერიდან შეუძლებელი-ღა ხდება. მე უარს ვამბობ კავკასიის გართულებულ და დახლართულ ეროვნულ საკითხის გამორკვევაზე. საჭირო აღარ არის იმის განმეორება, რაც არა ერთხელ დაგვიწერია კავკასიაში გამეფებულ რუსეთის პოლიტიკისა და ადმინისტრატიულ მართვა-გამგეობის შესახებ. რაღა საჭიროა ამაზე წერა გაზეთებში, როდესაც თვითონ ცხოვრებამ ასე ნათლად და მკაფიოდ დაგვიხატა ამ პოლიტიკისა და ადმინისტრატიულ მოპყრობის ნაყოფი და შედეგი. ცხოვრების მიერ შედგენილ საბრალმდებლო ოქმზე კარგს ჩვენ ვერას ვიტყვით. ბიუროკრატია იმკის მხოლოდ იმას, რაც დასთესა.

მაგრამ წარსულს თავი დავანებოთ და გამოვარკვიოთ, რა ხდება კავკასიაში? დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვით, რადგან ამ ქვეყნიდან თითქმის არავითარი ცნობა არ მოდის. ამისთანა ამბავი სხვა ქვეყანაში რომ მომხდარიყო, იქაურობა კორესპონდენტებით გაივსებოდა და ჟურნალ-გაზეთებიც ათასნაირ გამოკვლევებით, ახალ ამბებით და ამათუ იმ მოვლენის აწერილობით გაივსებოდა. ჩვენ კი გვაქვს მხოლოდ დეპეშათა ორი სააგენტო, რომლის ფასი გროშია, შემთხვევითი კორესპონდენციები, კერძო წერილები და ქორები.

[illegible] რობა? პასუხი არა გვაქვს. თათრები ებრძვიან რუსეთის ჯარს, რუს მუშებს და სომხებს, სომხები ებრძვიან ჯარებსა და თათრებს. რუსი მუშები ებრძვიან თათრებსაც, სომხებსაც და ჯარსაც. ჯარი კი თოფსა და ზარბაზანს მარჯვნივაც ისვრის და მარცხნივაც. აბა, ახლა მოდით და გაიგეთ, ვის ამშვიდებენ: ვინ არის მტერი და ვინ მეგობარი, ვინ არის იერიშის მიმტანი, რომელსაც ჯარმა წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს, და ვინ არის თავის დამცველი, რომელსაც ჯარმა მხარი უნდა მისცეს?.. მკითხველი რუსი ამას ვერ გაიგებს, მაგრამ ვინ გამოიცნობს ამჟამად კავკასიის დიად და საშინელ ამოცანას? ამბობენ ცოტა მოიცადეთო, მთავრობა რუს მოხელეს გაგზავნის, რომელიც ყველაფერს გამოიკვლევს, გამოიძიებს, შეიტყობს და მოხსენებას შეადგენსო. თუმცა ბაქოს პირველი ამბები დიდი ხანია გამოიკვლიეს, მაგრამ დღემდის საზოგადოებამ არაფერი იცის. დრო კი არც მოხელის მოხსენებას უცდის და არც მკითხველს! ყოველ დღე კავკასიიდან სულ ახალ-ახალი და ერთი მეორეზე უარესი ამბები მოდის. გაჩაღდა ძარცვა-გლეჯა, ხოცვა, ძალმომრეობა და ამავე დროს — საერთო გაფიცვა, მუშათა მიტინგები, გლეხების კრებები... ეროვნული შუღლი ნისლივით გადაეფარა საქმის ნამდვილ მდგომარეობას. ამ ნისლის ქვეშ იმალება ჭეშმარიტება. ჯერ-ჯერობით კი მხოლოდ ის არის ცხადი, რომ დაუჯერებელია, ვითომ კავკასიის დრამა მხოლოდ ადგილობრივ და შემთხვევითი მიზეზებით იყოს გამოწვეული. კავკასიაში გახსნილი და დასისხლიანებული იარა მთელ და სნეულ ორგანიზმზეა აღმოცენებული‘‘.

„კიევ. გაზეტა“-ც ცდილობს კავკასიის ამბების მიზეზების გარკვევას: „ძნელი დასაჯერებელია, რომ ბაქოს ამბები ჩვენ დროს ხდება. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ მეტი გზა არ არის, უნდა დავიჯეროთ, რუსეთი ახლა მხოლოდ იმას იმკის, რასაც ასე დიდხანს და ასეთის გულმოდგინებით სთესავდა. ეს არის ნაყოფი თავ. გოლიცინის დიდიხნის „სისტემისა“: ვინც ქარს დასთესავს, ის გრიგალს მოიმკისო და რუსეთიც იმკის, ამ საშინელ გრიგალს. ბ. ველიჩკო, მისი მიმდევარნი და სულის ჩამდგმელნი სიხარულით ცას ეწევიან, რაკი ხედავენ, რომ იმათ შრომას ამაოდ არ ჩაუვლია და სასურველი ნაყოფი გამოუღია... იმან, რაც მთელი წლობით იკრიბებოდა და მზადდებოდა, ახლა უცებ დიად შადრევანივით იფეთქა. აბა, ვის გაუკვირდება იმ ქვაბის გახეთქვა, რომელშიაც წყალი სდუღდა, ორთქლს გასავალი არა ჰქონდა და ამ ქვაბს განუწყვეტლივ მაინც შეშას უკეთებდნენ? კავკასიაც სწორედ ასეთ ქვაბსა ჰგავს. საზოგადოებრივ ცხოვრებას, ყოველ თვითმოქმედებას გზები შეუკრეს. პრესა სდუმდა, ხოლო ამ სამარისებურ სიჩუმეს, რომელიც გრიგალის მომასწავებელ დუმილს მოგვაგონებდა, ბ-ნ ველიჩკოსი და ამხ.-ის თავხედური და გამარჯვებული ყვირილი ისმოდა: „ჰკა მაგასო!“ კავკასიის „მშვიდობიანი გარუსება“ იმაში გამოიხატებოდა, რომ რუსეთის ბიუროკრატია ეროვნულ ცეცხლს გულმოდგინებით აძლიერებდა მარჯვნივ და მარცხნივ ასეთ დიდ ხანს ეთამაშებოდა ცეცხლს და აბა, რა საკვირველია, რომ მთელ კავკასიას საშინელი და შესაზარი ცეცხლი მოე- [illegible] ამბავი პირდაპირ ამტკიცებს, რომ ჩვენი ქვეყანა დაძაბუნდა და მძიმე ავადმყოფი გახდა და მის გასაკურნებლად რადიკალური წამლობაა საჭირო. ის ძველი პოლიტიკა და სისტემა, რომელმაც ასეთი საშინელი ნაყოფი გამოიღო, სამუდამოდ უნდა დაიგმოს და იქ, სადაც სამარისა და გახრწნილ ლეშის სუნი ტრიალებდა, ახალი და ნაყოფიერი ცხოვრება უნდა დაიწყოს. საზოგადოებამ სრული თავისუფლება უნდა მიიღოს და პრესასაც პირიდან ის კლიტე უნდა აეხსნას, რომელიც დღემდისაც კი არჩობს მას.

„რუსსკოე სლოვო“-ც უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევს კავკასიის მოძრაობას და „რაზსვეტ“-ივით აცხადებს, რომ კავკასიის ნასკვის გამოხლართვა და მის თავისა და ბოლოს პოვნა ძალიან ძნელიაო. რუსეთი იმკის იმას, რაც დასთესა: იმკის ნაყოფს განაპირა ქვეყნებში გამეფებულ პოლიტიკისას, სწორედ იმ პოლიტიკისაც, რომელმაც უმწვერვალესობამდის გაამწვავა საქმე კავკასიაშიაც, პოლონეთშიაც, ბალტიის მხარეშიაც და ფინლიანდიაშიაც. ამდენ ხნის განმავლობაში, რუსეთის ბიუროკრატიას კავკასიელ მაჰმადიანებში განათლების გასავრცელებლად ერთხელაც არ გაუნძრევია ხელი. კავკასიაში თურმე ისეთი მაზრებიც მოიძებნება, სადაც ერთი სკოლაც არ არის. იგივე ბიუროკრატია ქართველებსა და სომხებს უნდოდ ეპყრობოდა, მუდმივ რაღაც ეჭვი ჰქონდა მათზე და მათთან საბრძოლველად აუარებელ ქონებასა და ძალას ხარჯავდა. ამ ხალხის შევიწროებამ და დევნამ სწორედ ის ნაყოფი გამოიღო, რომელსაც ებრძოდა ბიუროკრატია.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 აგვისტო.

პეტერბურგი. სახელმწიფო კანცელარიის საქმის უფროსი მწარმოებელი, ნადვორნი სოვეტნიკი იუსტი პოლიციის დეპარტამენტის ვიცე-დირექტორად დაინიშნა.—საბერძნეთის სიტყვიერების დოქტორი ტაინი სოვეტნიკი შვარცი, ბოტანიკის დოქტორი, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ბელიაევი, და საბერძნეთის სიტყვიერების დოქტორი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი დერვიცკი დაინიშნენ: პირველი მოსკოვის ოლქის მზრუნველად, მეორე ვარშავისა და მესამე ყაზანისა.

ლონდონი, 7 სექტემბერი. ოდესიდან იუწყებიან, რომ ტყვეების გადაყვანაში გერმანიისა და იაპონიის სანავოსნო საზოგადოებანი მიიღებენ მონაწილეობასაო, რუსეთის მთავრობა ოდესაში მოყვანილ თვითოეულ ტყვეში დაახლოვებით ცხრა თუმან ნახევარს მისცემს.

ტომსკი, 7 სექტემბერი. უნივერსიტეტის რექტორად პროფესორი კურლოვი ამოირჩიეს, კურლოვი ამორჩევამდეც პროფესორად იყო.

სიმლა, 7 სექტემბერი. როგორც ხმა დადის, რუსები კერქის მახლობლად, მდ. ამუ-დარიაზე, ხიდს აკეთებენ, თუმცა ჰფიქრობენ, რომ გზის ბოლო უფრო აღმოსავლეთით იქნებაო.

ტოკიო, 7 სექტემბერი. ირწმუნებიან, რომ ომის დაწყებიდან იაპონელებს სულ სამოცდათორმეტი ათასი კაცი დაეღუპათო; ამათ რიცხვში 46180 კაცი მოკლულია, 10,970 კაცი ჭრილობისაგან გარდაიცვალა და 15,300 ავად-მყოფობისგან.

[illegible] რატიფიკაციის გამო მიკადოსთვის პროტესტის გამოსაცხადებლად კრება უნდა გაემართათ, მაგრამ ნება არ დართეს.

სტამბოლი, 7 სექტემბერი. ელჩებმა პროტესტი გამოუცხადეს პორტას, რომელსაც მაკედონიაში საფინანსო კონტროლის შემოღება ჯერაც არ გადაუწყვეტია. ელჩებმა განაცხადეს, რომ კონტროლერები სალონიკში სექტემბრის ბოლო რიცხვებში მოვლენ და, მთავრობის დაუკითხავად, პირდაპირ მუშაობას შეუდგებიანო.

ქრისტიანია, 7 სექტემბერი. ჯარების უფროსმა უბრძანა, საზღვრებთან მდგომი რაზმები საზღვარს ერთის კილომეტრის მანძილზე დააშორონ. შვეციელებიც ასევე მოიქცნენ. აქ მშვიდობიანობაა, მაგრამ კარლ-შტადტიდან ცნობებს მოელიან.

ბუდაპეშტი, 8 სექტემბერი. შეერთებულ პარტიების მეთაურებს: კოშუტს, ანდრაშის, ბარონ ბანფის და გრაფ ზიჩს შეატყობინეს, იმპერატორი აუდიენციაზე 10 სექტემბერს მიგიღებთო.

პეტერბურგი. პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორად, 40 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 28-ისა, ამორჩეულ იქმნა პროფესორი ბორგმანი.

ჰელსინგფორსი, 7 სექტემბერი. ნამდვილის ცნობებით, გემს „ჯონ გრაფტონ“-ზე შტურმანად ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორის მკვლელის, შაუმანის, ძმა ყოფილა.

კაბშტადტი, 7 სექტემბერი. დორპას მახლობლად გერმანიის ჯარები საშინლად დამარცხდნენ. ვიტბოი მოულოდნელად გერმანიის არიერგარდს დაეცა და სულ ერთიანად გაანადგურა.

ანტიოკვიი, 6 სექტემბერი. სანტენდერში აჯანყებამ იფეთქა.

პეტერბურგი, 7 სექტემბერი. დამშეულ გუბერნიებში გაემგზავრა მეცხრე ექსპედიცია, რომელსაც ამჟამად ხელში მილიონ ნახევარი მანეთი აქვს.

პარიზი, 7 სექტემბერი. საბერძნეთის მეფე ოქტომბრის პირველ რიცხვებში პარიზში მოვა და პრეზიდენტს ინახულებს.

ტოკიო, 7 სექტემბერი. იაპონიის მთავრობის განკარგულებით ტოკიოში სამხედრო წესები ჯერ-ჯერობით გაუქმებული არ იქმნება.

განჯა, 7 სექტემბერი. განჯის გუბერნიაში ძარცვა-გლეჯა ძალიან გახშირდა. განსაკუთრებით სომხებისა და რუსების სოფლებია შეწუხებული. 3 სექტემბერს, საღამოთი, თათრების უზარმაზარ ბრბომ რუსების სოფელი, ლუცაკა, გაძარცვა. მცხოვრებლები მახლობელ სოფელ, სლავიანკაში, გადასახლდნენ.

ბერლინი, 7 სექტემბერი. ტოკიოდან გაზეთებს ატყობინებენ, რომ ხალხი კაბინეტის შეცვლას დაჟინებით თხოულობსო.

ლიუცერნი, 7 სექტემბერი. გუშინ მშვიდობიანობის კონგრესი დაიწყო. დაესწრო ხუთასი დელეგატი.

ქრისტიანია, 7 სექტემბერი. გაზეთი „ტაგბლატტი“ იმ აზრს გამოსთქვამს, რომ ნორვეგიაში უსათუოდ რესპუბლიკა უნდა გამოცხადდეს, რადგანაც მონარქიულ წეს-წყობილებას არავითარი საჭიროება არ მოითხოვსო. გაზეთის აზრით, ამა თუ იმ წეს-წყობილების შემოღებამდე, უსათუოდ ხალხის აზრიც უნდა გავიგოთო.

ბრემენი, 7 სექტემბერი. გუშინ და დღეს ხოლერით ავად ექვსი კაცი გახდა; ამათგან ერთი უკვე გარდაიცვალა.

მოსკოვი, 7 სექტემბერი. უნივერსიტეტში ახლად ათას ორასი კაცი ჩაირიცხა, განსაკუთრებით იურიდიულსა და საექიმო ფაკულტეტებზე.

[illegible] გაიქცა ბანკირი ზუსმანი, რომელსაც ორასი-ათასი მანათი ვალი დარჩენია.

სტამბოლი, 7 სექტემბერი. გუშინ ერთ ჭაში თხუთმეტი ყუმბარა აღმოაჩინეს.

პარიზი, 7 სექტემბერი. საქმის მცოდნე წრეებში ირწმუნებიან, რომ მაროკოს კონფერენცია ალჟესირაში მოხდებაო.

პეტერბურგი, 7 სექტემბერი. მინისტრთა მოქმედების გაერთიანების საკითხის განხილვას განსაკუთრებული რჩევა, გრაფ სოლსკის თავმჯდომარეობით, ვიტტეს დაბრუნებისთანავე შეუდგება.

ესსენი, 7 სექტემბერი. გუშინდელ არჩევანში ცენტრის კანდიდატმა ოც-და-თორმეტი ათასი ხმა მიიღო, სოციალ-დემოკრატმა—ოც-და რვა ათასი, ლიბერალმა—თვრამეტი ათასი.

ხარკოვი, 7 სექტემბერი. ქალაქის გამგეობა შუამდგომლობს, რომ, საექიმო ფაკულტეტზე შესვლის დროს, ქალებსაც ისეთივე უფლება მიენიჭოს, როგორიც კაცებსა აქვთო.

ბერლინი, 7 სექტემბერი. „კელნის გაზეთი“ ოფიციალურად იუწყება: გერმანიის მთავრობამ როზენის საშუალებით კიდევ განაცხადა, რომ მას მაროკოში არც ტერიტორიისა და არც ნავთ სადგურის დაპყრობა არა სურს.

პეტერბურგი, 7 სექტემბერი. როდესაც ტავასტგუსის გუბერნატორის მოკვლის განზრახვის გამო ხელმწიფე იმპერატორს მოხსენება წარუდგინეს, მან საკუთარის ხელით წააწერა: **„ამისთანა საქციელებით მაიძულებენ, მთელ ფინლიანდიაში სამხედრო წესები შემოვიღო“**. მანსამეიუში თოფებით სავსე 33 ყუთისა და პატრონების 60 ყუთის პოვნის გამო წარდგენილ მოხსენებაზე ხელმწიფე იმპერატორმა წააწერა: **„ცუდი საქმეა“**. იაკობშტადში თოფებით დატვირთულ გემის აფეთქების გამო წარდგენილ მოხსენებაზე წააწერა: **„იარაღის შემოტანას კარგად ადევნეთ თვალ-ყური. მპოვნელები დაასაჩუქრეთ ხოლმე“**.

ორიოლი, 7 სექტემბერი. საგუბერნიო ციხეში გუშინ არეულობა მოხდა. არეულობა პოლიციამ მოსპო. მეამბოხეთაგან, როგორც ამბობენ, ერთი მოკლულია და ხუთიც დაჭრილი.

სტამბოლი, 8 სექტემბერი. ბრეიჩავთან, 31 აგვისტოს, ოსმალეთის ჯარებსა და სერბებს შეტაკება მოუვიდათ. სერბებს ათი კაცი მოუკლეს, ოსმალელებს ექვსი დაუჭრეს, ბრძოლის ველზე რამდენიმე ყუმბარა იპოვეს.

პეტერბურგი, 8 სექტემბერი. კრებების თავისუფლების წესების პროექტს განსაკუთრებული რჩევა გრაფ სოლსკის თავმჯდომარეობით, შაბათს, ათს სექტემბერს, განიხილავს.

ტოკიო, 8 სექტემბერი. დღეს სახელმწიფო მოღვაწეთა კაბინეტის კრება მოხდა. ფიქრობენ, რომ კრება შინაურ და გარეშე პოლიტიკის საკითხებს იხილავდა.—მცხოვრებლები სამხედრო წესების გაუქმებას მოუთმენლად მოელიან.

ლაბეგიუდა, 8 სექტემბერი. ვიტტე დილის შვიდს საათზე მონტელიმარში მივიდა, ლუბეს ორი საათი ებაასა და 12 საათსა და 15 წ. თავის გზას გაუდგა.

გოძიადანი, 8 სექტემბერი. ჩინელები რუსეთის ფულს უფრო ენდობიან, ვიდრე თვით ჩინეთისას. ერთი მანათი დოლლარი და ათი ცენტი ღირს. იაპონელების სამხედრო ასსიგნაციები ნომინალურ ფასში მიდის.

ტოკიო, 7 სექტემბერი, უემოს პარკში ზავის საწინააღმდეგო მიტინგი გაიმართა, მიტინგმა მშვი- [illegible] ხალხი ძალიან ცოტა დაესწრო. მიღებულ იქმნა რეზოლუცია, იშუამდგომლონ იმპერატორთან, რომ საზავო ხელშეკრულობაზე უარი განაცხადოს.

პარიზი, 8 სექტემბერი. ანარქისტები გარვეი, ვალლინა, მალტასი და კასსანელი სამართალში მისცეს; პირველ ორს ლუბეს და მეფის ალფონსის მოკვლის განზრახვა ჰბრალდებათ, დანარჩენ ორს—პირველების დახმარება.

ლონდონი, 8 სექტემბერი. „დეილი-მაილი“ იუწყება, რომ რუსეთის მთავრობის აგენტს გემების

ფელეტონი

მეგობრის ნაამბობი.

ოთახში მოწყენილი ვიჯექ და გაზეთს უაზროდ ვათვალიერებდი. მწარე ფიქრებმა სრულიად შემიპყრეს... გაზეთი განზე გადავისროლე და ფიქრებს მივეცი. ვფიქრობდი უაზროდ, ანგარიშ მიუცემლად. გონება გრძნობას განშორებოდა და თავში ათასნაირი, გამოურკვეველი აზრები მიტრიალებდა. მინდოდა დამეძინა, ცოტა ხნით მაინც დავიწყებას მივცემოდი, ერთი საათი მომკვდარიყავ. მაგრამ ჩემს თვალებს ძილი არ ეკარებოდა. დიდხანს ვიტრიალე ლოგინში. და ბოლოს გაჯავრებულმა ბალიში ერთ მხარეზე გადავისროლე, მუთაქა—მეორეზე და გიჟივით დივანზე გავვარდი.

კიბეზე ფეხის ხმა შემომესმა, გაჩქარებული კარებისაკენ გავექანე—ჩემი მეგობარი ვანო მოდიოდა. ერთი თვის უნახავი ვანო სიხარულით გადავკოცნე.

— ჩემო ვანო, რა მადლობელი ვარ, რომ მინახულე... სად დაიკარგე, კაცო? ისეთი ვიყავი, გაგიჟებას არაფერი მიკლდა. აი, ამ დროს უნდა ძმა და მეგობარი... შემოხვიდე ხოლმე, ვილაპარაკოთ, გავერთოთ... მაგრამ შენ რა დაგმართნია? ფერი აღარ გადევს.

ვანო ღონე-მიხდილი, სავარძელში ჩაესვენა.

— კაცო, რა მოგივიდა? ავად ხომ არა ხარ? ვეკითხებოდი ვანოს, მაგრამ ხმას არა მცემდა.

— თუ ძმა ხარ, თავი დამანებე... ისეთი ვარ —დანა რომ დამკრა—სისხლი არ წამომივა.— ძლივს სთქვა ვანომ.

— რა მოხდა, ვანო? სამსახურიდან ხომ არ დაგითხოვეს?

— ნეტავი აგრე ყოფილიყო!.

— მოგიკვდა ვინმე?

— ვინცა მყავს, ყველანი გამწყვეტოდა და ეს არ მომსვლოდა!

— მითხარი, რა მოხდა?

— ისეთი საქმე მომივიდა, რომ სიკვდილამდე სანანებლად მექნება.

მე დაბნეული მივჩერებოდი და კითხვა ვერ მომეხერხებინა. დიდხანს ერთმანეთს ჩუმად შევყურებდით. ველარ მოვითმინე და ვთხოვე:

— ღვთის გულისათვის, ნუ მომკალი... გამაგებინე, რა მოხდა?

ვანო ადგა, გაიარ-გამოიარა, შუბლზე ხელი გადისვა და დაიწყო:

— „ერთ საღამოს პროსპექტზე დავსეირნობდი. ერთბაშად ვიღაცა ზურგზე მომეჯახა. მოვიხედე—ჩვენი სიკო... ის ხომ ბეცია და თურმე ველარ დამინახა. „რა კარგ დროს შეგხვდი—სწორედ შენ გეძებდიო“—მითხრა და ხელი გამიყარა. „თუ ამაზე მეტად ვერ ხედავ, ადრე-კი მენახედი-მეთქი“... „ბიჭო, ამაღამ მუქთაი ვახშამია და უნდა წამოხვიდე... ჩემს ქენიას ერთი კვირა ხმას არა ვცემდი, დღეს შევურიგდი და ამაღამ ვახშამს მიმართავსო... ხომ იცი, ქენია სიკოს საყვარელია... მართალი გითხრა, წინა დღის ნაქეიფარი ვიყავ და უარი ვუთხარ, მაგრამ ჩამაცივდა, აღარ მომეშვა და ძალად წამათრია. ჩვენთან სხვებიც იყვნენ... გვარები არც ახლა ვიცი. დავსხედით, ქენია სიკოს მიუჯდა. დაიწყეს არშიყობა, „ხვევნა, კოცნა, მტლაშა-მტლუში“... ჯერ გულგრილად შევყურებდი იმათ უზრდელობას, მაგრამ როცა ღვინო გამიჯდა, მაშინკი დავიყვირე: „მომიყვანეთ ჩემი თამარა-მეთქი“. იმასაც ეს უნდა. გაიგონა თუ არა, კურდღლის ბაჭიასავით ხტუნვით მოვიდა და მომიჯდა... სიკოს გარდა ყველანი დავითვერით. ღამის ორი საათი იყო, როცა დავიშალენით. სიკო, ქენია და მე ბაღიდან ერთად გამოვედით. თურმე, ნუ იტყვით, ეს ჩვენი რძალი ჩუმ-ჩუმად ჰყლაპავდა და აკი დამთვრალიყოს! მოგვხვია ორივეს ხელი და დაიწყო მოთქმა: „ყმაწვილებო, საყვარლებო, მე მინდა ამაღამდელის ღამით დავსტკბე სავსებით“... „დასტკბი, გენაცვალე, ვინ გიშლის-მეთქი“... „არა, უნდა ვიცოცხლო!.. დავტკბე!.. მასიამოვნეთ, დამატკბეთ, ყმაწვილებო!“.. იმდენად მთვრალი იყო, გადამიწია თავი და ტუჩებში ჩამეკრა... ალბად შევეშალე... სიკო მოიღრუბლა და ისეთის თვალებით შემომხედა, თითქო ქენია მისი კანონიერი ცოლი ყოფილიყო. „წავიდეთ ეტლზე! დაიძახა ქენიამ. „აა, აი თურმე როგორი დატკბობა ნდომებია-მეთქი და მეც ხომ მეტი არ მინდოდა—წავიდეთ-მეთქი და გავსწიეთ.

ყვირილითა და ვაი-ვაგლახით მწვანე დუქნამდე მივედით... მოვატანიეთ ღვინო, ლუდი, ზოგი მეეტლეს დავალევინეთ, ზოგი მედუქნეს ზოგი გამვლელ-გამომვლელს... რაც დარჩა, ცხენებს ზურგზე დავასხით და გამოვბრუნდით...

ქალაქის საათმა სამჯერ დაჰკრა, როდესაც სასტუმრო ბ—ნის კარებთან ეტლი დადგა. ქენია და სიკო ახალ ჯვარ-დაწერილებივით, ხელგაყრილნი სასტუმროში შევიდნენ, მე-კი იმავე ეტლით შინისკენ წამოვედი.

მთვრალი ადამიანი ხომ მხეცია, პირუტყვია... მაგრამ, რომ დავუკვირდი, დავრწმუნდი, რომ მხეცი და პირუტყვი ამ შემთხვევაში ადამიანზე ბევრად მაღლა დგას... იმათ თავიანთი დრო იციან... ადამიანმა—კი არა. როდესაც მოუვლის ჟინი, დროსა და გარემოებას ყურადღებას არ აქცევს და, რათაც უნდა დაუჯდეს, უნდა სურვილი აისრულოს... ნებივრად გავიშხლართე ეტლში და დავიწყე ფიქრი. ჯერ ფხიზელიც არა ვარ ამ შემთხვევაში დიდი ჭკუის პატრონი და მთვრალი ხომ გონებას სრულიად ვკარგავ... მთვრალმა რომ კაბა დავინახო, ვისაც გინდა ეცვას, თავში სისხლი მივარდება.

„გრილმა ნიავმა დამჰბერა... ხარბად შევისუნთქე ეს ჰაერი, გული გავიღვიძე და ნიავს მივუშვირე... ფეხები კოფოზე მივაბჯინე და ფიქრით ერთ წუთს ქენიას ოთახში გავჩნდი. თვალწინ წარმომიდგა კეკლუცად მორთული, ვარდის ფრად განათებული პატარა ოთახი, საწოლი, სუფთა საწოლი, ქენიას ღია გულმკერდი, მისი გაშლილი ოქროს ფერი თმა და მის გვერდით—ბეცი სიკო... წარმოიდგინე—რა გუნებაზე დავდგებოდი!.. პირუტყვულმა გრძნობამ შემიპყრო... ადამიანობა ჩამიქრა და ჩემში თავდაუჭერელი მხეცი, პირუტყვი გამეღვიძა. გადავწყვიტე—მეც ისეთივე ნეტარებაში გამეტარებინა ეს მოკლე ღამე, როგორშიაც სიკო იყო“.

ვანო გაჩუმდა და მწარედ ჩაიცინა. მე-კი სმენად ვიყავ გადაქცეული.

„მომაგონდა—განაგრძო ვანომ—მთაწმინდაში ერთი ქალი... ეტლი მოშორებით დავაყენე, გავისტუმრე და გავსწიე... გულ ამომჯდარი, ბარბაცით მივდიოდი. ფეხაკრეფით მივადექი ალაყაფის კარებს და ზარი დავრეკე. ყველას ეძინა და ვინ გამიღებდა. ბოლოს გულმოსულმა, თითქო საკუთარ სახლში მივდიოდე, ზარს ისე ღონივრად ჩამოვკარი, რომ მოწყდა და ძირს ჩამოვარდა. ის იყო უნდა გამოვბრუნებულვიყავ, და ნეტავი ეგრეც ყოფილიყო, ვიღაცა მდგმურმა კარი გამიღო. წარმოიდგინე ჩემი თავხედობა—ვუსაყვედურე კიდეც, ამდენი ხანი ქუჩაში რად მალოდინე-მეთქი და კიბეზე ავედი. ჩემი ნაცნობი ქალი მესამე სართულში იდგა. აივნის კარები ჩაკეტილი იყო, ჩვეულებისამებრ გადავალაჯე მოაჯირს და აივანზე გავჩნდი. ოთახის კარები ღია დამხვდა. ოთახში ბნელოდა. მე მინდოდა ჩემ სატრფოსათვის მესიამოვნებინა, მოულოდნელად ჩავკროდი გულში და ფეხაკრეფით საწოლისაკენ გავემართე. გზაში რაღაც ჭურჭელს ფეხი წავკარი და ფეხზე ცივი სითხე ვიგრძენ... გავიტრუნე. ყველას ეძინა. მე ფეხის თითებზე განვაგრძე ჩემი გზა, მივედი საწოლთან და ჩემს სატრფოს გულზე ხელი დავუსვი...

— „ვინა ხარ? მომესმა კაცის ხმა. მე ეჭვმა ამიტაცა.—„ვინა ხარ?“—უფრო მაღლა გაიმეორა, წამოვარდა და მკლავში მწვდა. ის იყო, მეც უნდა მეკითხნა, შენ თითონ ვინა ხარ, ჩემს საყვარელთან რომ წევხარ-მეთქი, მაგრამ რაღამაც შემაჩერა... დავჩუმდი, რადგან აგრეც რომ ყოფილიყო, მასაც იმდენივე უფლება ჰქონდა ამ ხორცით მოვაჭრე ადამიანზე, რამდენიც მე... ალბად გულმა იგრძნო უბედურება და ხმა ველარ ამოვიღე. მოვიკრიბე ძალღონე და მინდოდა თავი დამეღწია, მაგრამ ამაოდ..

— აა, ვერ წახვალ!—დაიყვირა მან და ხელები უფრო მაგრად ჩამჭიდა.—„ეფრო! გაიღვიძე.. ქურდი დავიჭირე“... დაუძახა ქალს. ეს სახელი გულში ლახვარივით მომხვდა... ჩემს საყვარელს მატრონა ერქვა. ახლა კი მივხვდი, რომ საქმე ცუდად იყო.

— ეფრო ჩქარა. სანთელი აანთე. . ბავშვებს მიხედე, არ შეგეშინდეთ... პოლიციას დაუძახე... ყვიროდა ის. „სანთელი“ და „პოლიცია“ რომ გავიგონე,—თავზარი დამეცა... „ბავშვებმა“ ეჭვი სრულიად გამიფანტეს. ქალიც ადგა. გაიმართა ჭიდაობა. მე ქალისაკენ მივიწევდი, ქმარი კიდევ თავისაკენ მეჭიდებოდა. ჩვენს ხრიალში ბავშვებმაც გაიღვიძეს და საშინელი ტირილი მორთეს. მთელი ეზო ფეხზე დადგა. გაისმა პოლიციელთა დაუსრულებელი სტვენა. ხაფანგში ვიყავ გაბმული“.

— რად მიიწევდი ქალისაკენ?—ვკითხე ვანოს.

-- სინათლისა მეშინოდა, მიცნობდნენ...

— საიდან?

— როგორ საიდან, რამდენჯერ სცენაზე მე ვუნახივარ‘‘..

ჩემი მეგობარი მსახიობია.

„ქალი ოთახში გიჟივით დარბოდა და „ღმერთო ჩემოს“ იძახდა. წარმოიდგინე, კაბის ჩაცმაც კი დავიწყებოდა.. მაგრამ, თუ დაკვირვებიხარ, იმ წუთში დამნაშავეს კაცად არა სთვლიან და, რაც უნდა მორცხვი ქალი იყოს, სიშიშვლეს არად აგდებს.

„ღვთის გულისათვის!.. გევედრებით, სანთელს ნუ აანთებთ და გაძლევთ პატიოსან სიტყვას, ყველაფერს გულახდილად გეტყვით... მე ქურდი არა ვარ... არც ცუდის განზრახვით მოვსულვარ აქა. ვედრიჯებოდი და ვეხვეწებოდი მე.

— აა, გეშინიან არ გიცნო, განა? უნდა გამოგაქვეყნო!.. ღრიალებდა კაცი და ხელს უფრო მიჭერდა.

— გაფიცებთ თქვენს უმანკო შვილებს, ნუ აანთებთ!.. შევევედრე იმედ-დაკარგული. ქალი გაჩერდა.

— კარგი, სთქვი რა გინდა!—მითხრა კაცმა და კარებისაკენ წამიყვანა. აივანი ხალხით გავსებულიყო. მე მოვიკრიბე უკანასკნელი ძალ-ღონე, გამოვსტაცე ცალი ხელი და ქუდი პირისახეზე ჩამოვიფხატე.

— ჩქარა თქვით!—დამიყვირა მან და ერთი ისეთი დამანჯღრია, რომ ენა დავიკვნიტე.

— აქ მეძავი ქალი იდგა... არეულად დავიწყე მე, ხშირად დავდიოდი... რა ვიცოდი თუ ის წყეული აქედან გადავიდა... ახლაც მოვედი... გეფიცებით ღმერთს, პატიოსნებას, სხვა რამ ფიქრი ჩემში არ ყოფილა. აი, თუ გნებავთ, მეეზოვესა ჰკითხეთ“. მეეზოვე მიცნობდა, თუმცა ჩემი ვინაობა არ იცოდა. ისე გულწრფელად წარმოვსთქვი ეს, რომ ჩემი მასპინძელი მოლბა.

— ამას იცნობ?—ჰკითხა მეეზოვეს.

— არ ვიცი, ბატონო, სახეს ვერა ვხედავ... უპასუხა მან.

ესეც ახალი ჭირი. უთუოდ სახე უნდა ვაჩვენო და ისე როგორ მოვახერხო, რომ ქმარს არ დავენახვებოდი.

— ხელი გამიშვით, ხომ ველარ გავიქცევი.. შევევედრე მე.

— ყური უგდეთ, არ გაიქცეს! დაუძახა მან პოლიციელებს და ხელი გამიშვა. მე მეეზოვე გარედ გამოვიყვანე და თითქო კეკემალულობას ვთამაშობდი, ცალმხარეზე შლიაპა გადავიწიე.

— ახლა ხომ მიცანი-მეთქი—ვკითხე.

— Да, это нашъ баринъ! სთქვა მეეზოვემ.

სწორედ „ბარინს“ თუ ეკადრებოდა მაშინდელი ჩემი მდგომარეობა. ღმერთმა უშველოს, გასჭრა ძველმა ქრთამებმა და მეეზოვემ ჩემ სასარგებლოდ მიმოწმა. ის ცოტათი დამშვიდდა, მაგრამ ჩემთვის კი ახლა დადგა განსჯა-განკითხვის წამი,

შეკვეთის შესახებ გუშინ ვიკკერისა და მაქსიმის ფირმებთან ულაპარაკია, მაგრამ მოლაპარაკებას უნაყოფოდ ჩაუვლია.

ოდესა, 8 სექტემბერი. ახლო მომავალში აქ სახალინის ყოფილი გუბერნატორი ლიაპუნოვი მოდის.

იენა, 8 სექტემბერი. სოციალ დემოკრატების კრების დღევანდელ სხდომაზე გარეშე პოლიტიკის შესახებ მსჯელობდნენ. ბერნშტეინი ამტკიცებდა, რომ საერთაშორისო საკითხებს რეიხსტაგმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოსო.

მოსკოვი, 8 სექტემბერი. უნივერსიტეტის საბჭოს მიერ ამორჩეული კომისია, რომელიც თორმეტ პროფესორისაგან შესდგება, სტუდენტთა კრებების და სხვა საუნივერსიტეტო საკითხებს განიხილავს.

ვენა, 8 სექტემბერი. სოციალ-დემოკრატების კრებაზე გადასწყვიტეს, რეისტაგში ეკლესიის სახელმწიფოსაგან ჩამოშორების პროექტი შეიტანონ.

კარლსშტადტი, 8 სექტემბერი. შვეციისა და ნორვეგიის დელეგატებს რჩევა დღეს ცალ-ცალკე ჰქონდათ. შემდეგი საერთო სხდომა ხვალისთვის არის დანიშნული.

პეტერბურგი, აქ არიგებენ გენერალ ბოგდანოვიჩის ახალ წიგნაკს შემდეგის სათაურით: „კეთილი რჩევა, მიმართული რუსის ხალხისადმი, სახელმწიფო სათათბიროში წარმომადგენლების ამორჩევამდე“.

ლონდონი, 7 სექტემბერი. როგორც ხმა დადის, მანჯურიის ბრძოლის ველიდან ჯარების დიდ ნაწილს გაჰგზავნიან კავკასიაში, სადაც, წესიერებას აღდგენამდე დარჩებიან.

კიევი, 8 სექტემბერი. პეტერბურგის საერთაშორისო ბანკის კიევის განყოფილებაში ას თხუთმეტი ათასი მანათი გაუფლანგავთ. დამნაშავე ბერეზინსკია. ბერეზინსკის ას ოთხი ათასი მანათი უკვე გამოართვეს

ვარშავა, 8 სექტემბერი. დომბროვსკის და შვეჩინს, რომლებსაც უბნის უფროსის ზედამხედველის არამოვიჩის მოკვლის განძრახვა ჰბრალდებოდათ, სასამართლომ რვა წლით კატორღა გადაუწყვიტა. ზოლინსკი გაამართლეს.

რეფორმები რუსეთში

რუსეთში **მინისტრთა კაბინეტის დასაარსებლად** საჭირო მასალას სოლსკის კომისია აგროვებს. ამ მასალას 4 ოქტომბერს სახელმწიფო საბჭო განიხილავს და შესაფერ კანონს შეადგენს. („რ. ვ.“).

✦ კობეკოს მიერ შემუშავებულ კანონ-პროექტს ბეჭდვით, სიტყვის შესახებ წარუდგენენ სახელმწიფო სათათბიროს, რომელიც ამ საკითხს განიხილავს. სექტემბრის შუა რიცხვებში გამოცხადდება ახალი **დროებითი დებულება პრესის შესახებ**, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრმა შეადგინა. ამ დებულების ძალით პრესას უფლება ეძლევა საარჩევნო აგიტაცია მოახდინოს (რ. ვ.).

✦ პოლონელ დეპუტატებმა ფინანსთა მინისტრს თხოვნა მისცეს იმის შესახებ, რომ პოლონეთის კომერციულ სასწავლებლებში **სწავლა პოლონურ ენაზე იქმნას შემოღებული.** მინისტრმა უპასუხა, თხოვნას მხოლოდ იმ შემთხვევაში აგისრულებთ, თუ მასწავლებლებსაც და სასწავლებლებსაც ის უფლებანი ჩამოერთმევათ, რომელიც ამ ჟამად აქვთო. დეპუტატებმა მიუგეს, თანახმა ვართ მოსწავლეებს ყველა უფლებანი ჩამოერთვათ (სამხედრო ბეგარა და სხვ.), ხოლო მასწავლებლებს წინანდელი უფლებანი დაუტოვეთო. მინისტრმა ამაზედაც უარი უთხრა. (რ. ვ.)

✦ „ნოვოსტი დნია“-ს მოჰყავს სია იმ პირებისა, რომელთაც საარჩევნო ცენზი არა აქვთ და, მაშასადამე, სათათბიროში დეპუტატის არჩევაშიაც ვერ მიიღებენ მონაწილეობას. ქვემოდ ჩამოთვლილი პირები მხოლოდ პეტერბურგს ეკუთვნიან. კენჭს მოკლებული არიან:

დ. მენდელეევი, მთელ ქვეყანაზე განთქმული ქიმიკოსი და მეცნიერი,

პ. ნიკიტინი, საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი კლასიკოსი და პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორად ნამყოფი.

ა. მარკოვი, ცნობილი მათემატიკოსი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი რუსეთის თანამედროვე პროგრესიულ მოძრაობის ერთი მეთაურთაგანი.

ა. ფამინიცინი, განთქმული ბუნებისმეტყველი, საიმპერატორო თავისუფალ ეკონომიურ საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი და რუსეთის წარმომადგენელი აკადემიების საერთაშორისო ასოციაციაში.

ნ. ბეკეტოვი, ცნობილი მეცნიერი და ფილოსოფოსი.

ვ. ლამანსკი, განთქმული სლავისტი და ცნობილი ეტნოგრაფი.

ი. ბოროდინი, ბოტანიკოსი, ოდესის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი ბოტანიკისა და სატყეო ინსტიტუტის ცნობილი პროფესორი.

ო. ბაკლუნდი, ცნობილი ასტრონომი და მთავარ ასტრონომიულ ობსერვატორიის დირექტორი.

ი. იანჟული, აკადემიკოსი, ავტორი მრავალ მშვენიერ თხზულებებისა ეკონომიურ საკითხების შესახებ, მუშათა საკითხის მკვლევარი და პუბლიცისტი.

ს. ოლდენბურგი, ცნობილი პროფესორი ორიენტალისტი და სამეცნიერო აკადემიის მდივანი.

ბარონ ვ. როზენი, პროფესორი არაბისტი.

ვ. რადლოვი, აღმოსავლეთის მცოდნე და მრავალ სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე.

ა. სობოლევსკი, ფილოლოგი და პროფესორი.

ა. დანილევსკი, ისტორიკოსი და სოციოლოგი.

ა. შახმატოვი, ფილოლოგი და რუსულ ენის აკადემიურ ლექსიკონის რედაქტორი.

ფ. ზელინსკი, ძველ საბერძნეთისა და რომის მცოდნე, ავტორი მშვენიერ ლიტერატურულ და ისტორიულ წერილებისა და ცნობილი პროფესორი.

ნ. ვაგნერი, დამსახურებული პროფესორი.

ი. პავლოვი, რუსეთის განთქმული ფიზიოლოგი.

ვ. ზელინსკი, ზოოლოგოსი და საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიის ზოოლოგიურ მუზეუმის დირექტორი.

ი. ბოდუენ-დე კურტენე, მეცნიერი, დოქტორი ფილოსოფიისა და ცნობილი საზოგადო მოღვაწე.

ა. ვესელოვსკი, პეტ. უნივ. დამსახურებული პროფესორი.

ა. ინოსტრანცევი, გეოლოგიის პროფესორი.

ა. დოგელი, ემბრიოლოგიისა და გისტოლოგიის პროფესორი.

კ. ზალემანი, ცნობილი ორიენტალისტი.

ფ. ბეილშტეინი, რუსეთის ცნობილი ქიმიკოსი და ბრესლავლისა და გეტინგენის უნივერსიტეტებში პროფესორად ნამყოფი.

ო. ხვოლსონი, ფიზიკის პროფესორი.

ე. შტელინგი, მთავარ ფიზიკურ ობსერვატორიის დირექტორი.

ა. კარპინსკი, გეოლოგიურ კომიტეტის დირექტორი.

გარდა ამისა, კენჭს მოკლებულია 8 პროფესორი და დეკანი პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებლებისა.

რუსეთის სხვა მოღვაწეებზე და მეცნიერებზე ხომ ლაპარაკიც არა ღირს.

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

პეტერბურგი, 7 სექტემბერი. ლიოვთან ბაასის დროს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ, გრაფმა სოლსკიმ, მინისტრთა კაბინეტის საკითხის გამო, შენიშნა, რომ ეს საკითხი ორის ნაწილისაგან შესდგებაო. პირველი ნაწილია: საჭიროა, თუ არა მინისტრთა მოქმედების გაერთიანება, მეორე—რაგვარ საშუალებით უნდა განხორციელდეს იგი. პირველ ნაწილის შესახებ გრაფ სოლსკის უთქვამს: ეჭვს გარეშეა, რომ დღეს მინისტრთა მოქმედების გაერთიანება აუცილებლად საჭიროაო, ვინაიდან რუსეთის მინისტრთა შორის თანხმობა არაოდეს არ ყოფილაო. საკითხი მინისტრთა მოქმედების გაერთიანების შესახებ ბევრჯელ აღძრულა, მაგრამ ყოველთვის გადაუწყვეტელი დარჩენილა. დღეს კი მისი გადაწყვეტა აუცილებლად საჭიროა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ამას მოითხოვს დღევანდელი მდგომარეობა რუსეთისა, რომელიც თვალსაჩინო ისტორიულ კრიზისს განიცდის, მეორეც იმიტომ, რომ მალე სახელმწიფო სათათბირო უნდა მოიწვიონო. ყოვლად შეუძლებელია, შეუცვლელად დარჩეს არსებული წესები, რომლის ძალითაც ყოველ კანონ-პროექტს მინისტრები და სხვადასხვა უწყებების მთავარ-გამგეები განსახილველად პირდაპირ სახელმწიფოს საბჭოს წარუდგენენ ხოლმე. დღეს ამნაირი წესები ვეღარ დარჩება იმიტომ, რომ სახელმწიფო სათათბირო სხვადასხვა მინისტრების უთანხმოებათა შესარიგებლად არ არის მოწვეულიო. რაც შეეხება მეორე საკითხს, რანაირის საშუალებით უნდა მოხდეს ეს გაერთიანება, ამის შესახებ გრაფ სოლსკიმ გადაწყვეტილი პასუხი ვერ მისცა. ეს საკითხი ჯერ ახალია, რთული, და ამიტომ საჭიროა მისი დაწვრილებით განხილვაო. ამას გარდა, გრაფი სოლსკი, როგორც თავმჯდომარე იმ განსაკუთრებულ რჩევისა, სადაც განხილული უნდა იქმნეს ეს საკითხი, ჯერჯერობით ამ საკითხის შესახებ თავის აზრს ვერ გამოსთქვამს.

„სლოვო“-ს სარწმუნო წყაროებიდან გაუგია, რომ სამხედრო მინისტრი როდიგერი თანამდებობას თავს ანებებს.

იგივე გაზეთი იუწყება: ადმინისტრატიულ წრეებში ლაპარაკობენ, რომ კავკასიაში წესიერების აღსადგენად ახლო მომავალში ადმინისტრაციის უმაღლეს წარმომადგენელთა კრება მოხდებაო.

ახალი ამბავი

✦ რიცის საქანდაკო ქარხანაში უკვე **დამზადებულია ძეგლი ნ. ბარათაშვილისა.** ძეგლი ალგეთის ქვისაგან არის გაკეთებული, ქართულ ორნამენტებით. სიმაღლე ძეგლსა 4 არშინ-ნახევარი აქვს. ძეგლის კურთხევა 9 ოქტომბერსაა დანიშნული.

✦ სოფ. იგოითში (გორის მაზრა) მცხოვრებ მილიციონერებმა **გადასცეს იარაღი წითელ რაზმის წევრებს.** აგრეთვე გადაუციათ იარაღი სოფელ საკორინთლოში მცხოვრებ აზნაურებს.

✦ **ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა საგანგებო კრება**, რომელიც დანიშნული იყო ამ თვის ჩვიდმეტისათვის, გადადებულ იქმნა შემდეგისათვის.

✦ კავკასიის ნამესტნიკმა გაზეთ „ვოზროჟდენიის“ რედაქტორად **დაამტკიცა პ. ა. გოთუა.**

✦ ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორის წევრი არქიმანდრიტი გიორგი, თანახმა მიღებულ დეპეშისა, **დაინიშნა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად.**

✦ თავ. ა. ი. სუმბათაშვილს დაუწერია **ახალი პიესა სახელად „ბადე“** (ნევოდ). პიესაში დასურათებულია ჩვენი უკულტურობა და აწერილია ზოგიერთ ქველმოქმედთა ბოროტებანი.

✦ ბაქოში რუსეთიდან ჩამოვიდა **ორი პოლკი ქვეითა ჯარისა, დონის ერთი კაზაკთა პოლკი და არტილერია**, სულ 10,000 კაცი. ქალაქს ამდონი ჯარისათვის ბინა ვერ მოუნახავს.

✦ სამოსწავლო **ინსტიტუტში დასრულდა მისაღები ეგზამენები.** ეგზამენს სულ 157 მოწაფე იჭერდა. მიიღეს მხოლოდ 32 კაცი—5 ქართველი, 2 სომეხი, დანარჩენი რუსი და სხვა რჯულისა. ამ სამოსწავლო წლიდან ფრანგულისა და გერმანულ ენების სწავლება შემოიღეს. მიიწვიეს აგრეთვე ქართული ენის მასწავლებელიც. ყველა მიღებული პანსიონერებად ჩარიცხეს, მომეტებულმა ნაწილმა უარი განაცხადეს პანსიონში ცხოვრებაზე. იმათ კარში საცხოვრებლად თვეში 20 მანეთი მიეცემათ.

✦ კავკასიის სამოსწავლო ინსტიტუტის მოწაფეებმა დაადგინეს: შუამდგომლობა აღძრან მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორის ს. ნ. ტრუბეცკოის წინაშე, რომ ამ ინსტიტუტში სწავლა დამთავრებულთ უეგზამენოდ **უმაღლეს სასწავლებელში შესვლის ნება მიანიჭოთ.**

„რუს. სლოვო“-ს **ოდესიდან დეპეშით** ატყობინებენ: რუსის საზოგადოების გემები „ოდესსა“ „პალლადა“, „ჩესარევიჩი“ და „როსტოვი“ დაქირავებულია ოდესიდან ბათომსა და ფოთში მე-21 კორპუსის ჯარებისა და არტილერიის გადასაყვანად. ამ ჯარებს კავკასიის სხვადასხვა ქალაქებში გაგზავნიან.

✦ კავკასიაში ჩამოვიდა **ვენის გაზეთების ორი კორესპონდენტი**, რომლებიც მიემგზავრებიან ბაქოსა, შუშასა და განჯაში მაჰმადიანებსა და სომხებს შორის მომხდარ სისხლის ღვრის ისტორიის გამოსაკვლევად. ბაქოში მომხდარ ამბებმა, კორესპონდენტების სიტყვით, ვენაში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. კორესპონდენტები ჯერ პიატიგორსკში ჩავლენ, სადაც ნამესტნიკს ინახულებენ.

✦ ოთხშაბათს, 8 სექტემბერს, ქალაქის ხმოსნებს გ. მ. თუმანოვის თავმჯდომარეობით ერთხელ კიდევ ჰქონდათ თათბირი **თათბირი სამსახურიდან გადადგომის შესახებ** კრებას ორმოცამდე ხმოსანი დაესწრო, მომეტებულად ისინი, ვინც წინანდელ კრებას არ დასწრებოდა და რომელნიც დარჩენის მომხრენი იყვნენ. დიდი კამათის შემდეგ დაადგინეს: მიემხრონ ესენიც უმრავლესობის გადაწყვეტილებას და სამსახურიდან გადადგნენ. დასასრულ, ხმოსნებმა დაადგინეს: გამოუცხადონ თანაგრძნობა ქალაქის მოურავს ვერმიშევს და სთხოვონ ისევ ქალაქის თავად დარჩენა. გ. მ. თუმანოვის წინამძღოლობით არჩეული კომისია გუშინვე იყო ვერმიშევთან და სთხოვა დარჩენა, მაგრამ მან უარი განაცხადა.

✦ ცალკე **განცხადება შეიტანეს სამსახურიდან გადადგომაზე** შემდეგმა ხმოსნებმა: მ. ზ. ქანანოვმა, ა. ი. კაზაკოვმა, ლ. გ. ევანგულოვმა, მ. ნ. ვესელოვზოროვმა, მ. ვ. ლუნკევიჩმა, ნ. ა. გრიქუროვმა, ვ. ა. სირაძემ, ე. ს. ბაბოვმა, ი. მ. ბებუთოვმა, ი. ა. სულხანოვმა, ღ. ი. თუმანოვმა, ა. ი. ფლორენსკიმ, მ. ზ. ავთანდილოვმა და გ. ზ. ტერ-ასატუროვმა.

✦ **ხმოსანმა ვ. ს. მიქელაძემ ქალაქის გამგეობაში განცხადება შეიტანა**, რომელითაც სთხოვს: შუამდგომლობა აღიძრას, სადაც ჯერ არს, რომ ქალაქს ოდესის მსგავსად, ნება მიეცეს მომავალ სახელმწიფო სათათბიროში ორი წარმომადგენელი გაგზავნოს, რადგანაც ქალაქ ტფილისში რამდენიმე ეროვნება სცხოვრობს და ერთი წარმომადგენელი არ იქმნება საკმაო გამომხატველი ხალხის მოთხოვნილებისაო.

✦ ამ დღეებში **სომხების კათოლიკოსი პეტერბურგს** წავა. კათოლიკოსი სატახტო ქალაქში საგანგებო მისიით მიდის.

✦ **ტფ. მეტეხის ციხის უფროსად** დაინიშნა **ლორიის** საპოლიციო ნაწილის ბოქაული თავ. ი. დ. ჯავახიშვილი. **ბორჯომის ბოქაულად** დაინიშნა ლ. ს. უზნაძე.

✦ გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ერევნის მოედანზე მოკლული უცნობი კაცი **პოლიციის აგენტი ყოფილა**, რომელსაც იმ დღეს ზ. ჩიჩუა დაუპატიმრებია. ჩიჩუა იმ დღესვე პოლიციიდან გაიქცა და მიიმალა. (კავკ.)

✦ 1 სექტემბერს, მთავარ სამხედრო სასამართლოში გაირჩა საქმე ქუთაისის მცხოვრებლების **ნოე თევზაძისა და ესტატე ნიკოლაიშვილისა**, რომელთაც ალიხანოვის მოკვლის გამო ტფ. სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა და დაადგინა: ეს განაჩენი ნამესტნიკს წარუდგინოს. კასაციურ საჩივარში თევზაძე ბრალს თავის თავზე იღებდა და სთხოვდა, გაენთავისუფლებინათ ნიკოლაიშვილი, რადგან მკვლელობაში არავითარი დანაშაულობა არ მიუძღვისო. ნიკოლაიშვილიც ამტკიცებდა, მკვლელობაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღიაო. მთავარმა სამხედრო სასამართლომ ტფილისის სამხედრო სასამართლოს განაჩენი შეუცვლელად დაამტკიცა.

✦ მარსელიდან ოდესაში მოსულ საფრანგეთის გემზე „გვალანა“ აღმოაჩინეს 9 ფუთი არალეგალური გამოცემანი. დააპატიმრეს ორი გასათხოვარი ქალი, რომელთაც პროკლამაციების გავრცელება ბრალდებათ.

✦ კავკასიაში არეულობის გამო კავკავის რკინის გზას წელიწად-ნახევარში **3 მილიონი მანათი უზარალნია.**

✦ ტფილისის **პოლიცმეისტერმა შემდეგი ცირკულიარი დაუგზავნა** ყველა ნაწილთა ბოქაულებს: „როგორც აღმოჩნდა, **როგორც კი დაიწყება ხოლმე ქალაქში არეულობა პოლიციელები თავს ანებებენ სამსახურს** და შემდეგ, როცა დაწყნარდება ხოლმე ცხოვრება, სამსახურს ისევ უბრუნდებიან. ამიტომ გავალებთ ყველას, ასეთი პოლიციელები სამსახურში აღარ მიიღოთ ხოლმე.

✦ ტფილისის პოლიცმეისტერმა მეექვსე უბნის პოლიციას შემდეგი მოწერილობა გაუგზავნა: ტოლლეს საპნის ქარხანაში ადგილობრივ პოლიციას ამ ქარხანაში დაშავებულ მუშათა შესახებ თითქმის თოთხმეტი შემთხვევა არ შეუმოწმებია და არ აღუნიშნავს ოქმში. ამისათვის გავალებთ, ახლავ შეადგინოთ ოქმები მუშათა ინტერესების დასაცველადაო“.

✦ **ქუთაისი.** 8 სექტემბერს, შუადღისას, 14 შეიარაღებული კაცი თავს დაესხა ადგილობრივ სამაზრო გამგეობას, სადაც იმყოფებოდა მწერალი და ყარაული. დასჭრეს ყარაული. დამნაშავეთ სურდათ წაეღოთ სამაზრო გამგეობაში დაცული იარაღი, მაგრამ ვერ მოახერხეს.

✦ **სად. ჭიათურა.** გაქურდეს ადგილობრივი **საქონლის სადგურის კასსა.** ქურდები ვერ იპოვეს. წაღებული თანხა არ არის გამორკვეული.

✦ პირველ საპოლიციო უბნის ზედამხედველი მირონოვი დაინიშნა ტფილისის საპყრობილის ზედამხედველის თანაშემწედ.

✦ გუშინ, 9 სექტემბერს, საოლქო სასამართლომ განიხილა საქმე ბორჩალოს მაზრის სოფ. გერგერის მცხოვრების სიმონ ბეგლუროვისა, რომელსაც ბრალდება მერვე საპოლიციო უბნის ზედამხედველის რაკიტინის დაჭრა, 9 მაისს 1905 წელს. დამნაშავეს იცავდა ნაფიცი ვექილი ი. მ. დოლუხანოვი. სასამართლომ ბეგლუროვს ერთის წლით გამასწორებელ რაზმში გაგზავნა გადაუწყვიტა.

✦ ტფილისის დროებით **გენერალ გუბერნატორმა ნება დართო** ტფილისის მოქალაქეთა საზოგადოების რწმუნებულთ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში საზოგადო კრება გამართონ.

✦ გორის ქალაქის მამასახლისმა სთხოვა გუბერნატორს, რომ საერობო თანხიდან გადადებულ იქმნას ფული გორის ხიდის შესაკეთებლად.

✦ ქ. სიღნაღში ჩხუბის დროს, სტეფანე ლექნოვმა **ხმლით დასჭრა** ჟანდარმის უნტერ-ოფიცერი შატილოვი.

✦ ოთხშაბათს, 8 სექტემბერს, ღამის 2 საათზე, 1 საპოლიციო უბნის ზედამხედველს **კოტოვს** ოლგას ქუჩაზე 2 უცნობი **კაცი თავს დაეცა** და ექვსჯერ ესროლეს რევოლვერი, მაგრამ ააცდინეს. კოტოვმა თავის მხრივ ექვსჯერ ესროლა უცნობ კაცებს და ერთი მათგანი მსუბუქად დასჭრა, მეორეს ხმლით ხელიდან ფინური დანა გააგდებინა. დამნაშავენი ვერ შეიპყრეს.

✦ მიუხედავათ სამღვდელოების დადგენილებისა, საეპარქიო დედათა სასწავლებელში ყველა მოწაფე გამოცხადდა და ყველანიც მიიღეს. სწავლა 5 სექტემბრიდან დაიწყო.

✦ ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებლის გამგეობამ გამოცდის შემდეგ რუსულ ენის მასწავლებლად დაინიშნა დანილენკო, რომელმაც ქართულიც კარგად იცის.

✦ ქართლ-კახეთის საეპარქიო სამრევლო სკოლების საბჭომ ტფილისის სამაზრო სამეთვალყურეო განყოფილება გააუქმა.

✦ 9 ენკენისთვეს, ტფილისის საბალონო სასწავლებელში **გადახდილ იქმნა პანაშვიდი** 29 აგვისტოს დახოცილთა სულის მოსახსენებლად.

✦ როგორც დღევანდელ დეპეშებიდან სჩანს, **მანჯურიიდან დაბრუნებული ჯარების დიდი ნაწილი პირდაპირ კავკასიაში გამოიგზავნება** და, სანამ წეს-რიგს არ აღადგენს, აქ დარჩება.

✦ ჭიათურასა და მის მიდამოებში არეულობის გამო, ადგილობრივი ადმინისტრაცია **ჯარების გამოგზავნას შუამდგომლობს.**

✦ ოთხშაბათს, 7 აგვისტოს, **კავკასიის ნასტნიკი ბაქოში ჩასულა** და ქალაქი, ბალახანა და ბიბი-ეიბათი დაუთვალიერებია.

პრესსა

ვინც რუსული ენა იცის და ადგილობრივ რუსულ გაზეთებს კითხულობს, არ შეიძლება არ იცოდეს, რომ ხსენებულ გაზეთებში საშინლად ტენდენციურად და მიკერძებით იწერება თითქმის ყველა წერილები, რომლებიც კი სომეხ-თათართა შეტაკებასა და საზოგადოდ ამ ორ ეროვნების დამოკიდებულებას შეეხება. ადგილობრივ რუსულ გაზეთებში ვერ შეხვდებით ამ საგანზე ვერც ერთ ისეთ სტრიქონს, რომელშიაც თათრების ბრალდება არ იყოს და სომხობას კი ყოვლის მხრით უდანაშაულო უმანკოებად არ სახავდნენ. ადგილობრივი რუსული გაზეთები, რომლებიც სულ მთლად სომხების ხელშია, ვერ იჩენენ ამ შეთხვევაში სამართლიანობას და სასწორს ყოველთვის თვისიანებისაკენ სწევენ. ეს ისეთი ცხადი ფაქტია, რომ მისი დანახვა იქნება მოსკოვ-პეტერბურგში არ შეიძლება, თორემ აქ იგი ყველას დანახული და შემჩნეული გვაქვს.

ამას წინად «ცნობის ფურცელმა» აღნიშნა ეს მოვლენა და „ფრთხილად“ უსაყვედურა სომხებისა და თათრების გაზეთებს, რომ ასეთი საქციელი დასაგმობია, ვინაიდან ამით თქვენ, დამშვიდებისა და დაწყნარების მაგიერ, ხალხს აღელვებთ და ურთიერთობას ამწვავებთო. ეს შენიშვნა არ მოეწონა გაზ. „ნოვოე ობოზრენიეს“, რომელმაც თავის მხრით საყვედურით მიმართა „ცნობის ფურცელს“,—ჩვენც თათრების გაზეთებს როგორ შეგვადარე და ბრალი როგორ დაგვდეო. სახარების ფარისეველსავით, რომელიც ცოდვილ მეზვერეს იბრალებდა და თავის ფარისეველ გულის უმანკოებაში ღმერთს არწმუნებდა, ამ გაზეთმა აქაც თათრებზე მიუთითა „ცნობის ფურცელს“ და სომხურ-რუსულ გაზეთების შესახებ საბუთები მოსთხოვა: „განა უსაბუთოდ ასეთის მძიმე ბრალდების წარმოთქმა შეიძლებაო?“—ვითომ გულნატკენად სწერს „ნოვოე ობოზრენიე“.

ამის საპასუხოდ „ცნობის ფურცლის“ № 2904-ში წერილია დაბეჭდილი, რომელშიაც ავტორი სრულიად სწორედ და სამართლიანად აღნიშნავს სომხურ გაზეთის „ფარისევლურ თავის მოკატუნებას“ და ახლა „ფრთხილად კი არა,—პირდაპირ და დაუფარავად აცხადებს „ნოვოე ობოზრენიესა“ და ძმათა მისთა ცოდვებს. იგი სწერს:

> „ჩვენი მკითხველები უეჭველია გაიღიმებენ, როცა გაიგებენ, რომ „ნოვ. ობოზ.“ საბუთსა გვთხოვს... ტყუილია ეს ფარისევლური თავის-მოკატუნება. განა საბუთის მოყვანა საჭირო იყო, როცა ამ გაზეთის ყოველი ნომერი ტენდენციურის ცნობებითა და წერილებით არის ავსილი სომეხ-თათართა საქმეების გამო?!... „ნოვ. ობოზრენ.“-ის თითქმის ყოველს ნომერში იპოვნით ასეთ დაბეზღების ნიშნებს: მაჰმადიანები ოსმალეთის წაქეზებით მოქმედებენ, მაჰმადიანებს განზრახვა აქვთ, რუსეთს ომი გამოუცხადონ და ამიტომ ესხმიან თავს პირველად სომხებს, მაჰმადიანები არც ჰმალავენ, რომ ყველა ქრისტიანთა ამოჟლეტა ჰსურთო და სხვა. ჩვენ გვეზიზღება ამაების ამოწერა, თორემ ათასი საბუთი შეგვიძლია მოვიყვანოთ იმისა, რომ „ნოვ. ობოზრ.“-ის ცდა იყო: 1) მთელი ბრალი თათრებისთვის მოეხვია კისერზე, 2) სომხები ყველაფერში გაემართლებინა და სომხის ინტელიგენცია უცოდველ პაპად დაესახა, 3) რაც შეიძლება, გაეზვიადებინა თათრებისაგან მოსალოდნელი საფრთხე და ამრიგად მთავრობისათვის ჩაეგონებინა თათრების

თუ პოლიციის ხელში ჩამაგდებდა—ყველაფერი გამოაშკარავდებოდა.

— ახლა ხომ დარწმუნდით ჩემს სიმართლეში —გამანთავისუფლეთ-მეთქი.—პირზე შლიაპა მიფარებული ვბურდღუნებდი.

— ეშმაკებთანაც გზა გქონია!—დაიყვირა მან, მომატრიალა, ამომკრა პანღური და პოლიციელების ჯგუფში შემაგდო. პანღურს ვილა ჩიოდა... ჩამიგდეს ხელში იმ ძაღლებმა და ერთი თუ ორი კისერში შენს ვანოს—კიბეზე ჩამომაგორეს. ერთიც ალაყაფის კარებთან მომაყოლეს და ქუჩაში გამომაგდეს«.

მე სიცილით კინაღამ გული წამივიდა, მუცელზე ხელი მოვიჭირე და ლოგინზე ვკოტრიალობდი.

— შე კაი კაცო, ამისათვის იკლავ თავს? მეც გული გამიხეთქე... სიცილით ეუსაყვედურე მე.

ვანომ მწარედ გაიღიმა.

— „ჯერ ყური დამიგდე, რა დრამა მოჰყვა ამ კომედიას და მერმე გაიცინე.

შორიდან ვიცნობ იმ ოჯახს. ვერ წარმოიდგენ, რა შეყვარებული ცოლ-ქმარნი იყვნენ. არაოდეს ცალ-ცალკე მოსეირნე ისინი არ მინახავს—სულ ერთად, მუდამ ხელიხელ გაყრილნი, თითქო ერთმანეთზე სამუდამოდ მიკრულანო, მუდამ ერთმანეთს უღიმოდნენ, უცინოდნენ და სიყვარულით სავსე თვალებით შესცქეროდნენ... ერთი სიტყვით, მთელ ქალაქში ყველასათვის სამაგალითო ცოლ-ქმარნი იყვნენ. გავიდა ერთი კვირა იმ უბედურ ღამის შემდეგ და ქმარი ერთ რესტორანში მთვრალი ვნახე... ეს პირველი იყო მის ცხოვრებაში. სრულიად გამოცვლილიყო. გამხდარი სახე, ჩაცვივნული, ნაღვლიანი თვალები... ეტყობოდა, რომ ბოღმასა და დარდს ღვინით იქარვებდა. ცხადი იყო, იმ ღამის შემდეგ სულის სიმშვიდე სრულიად დაეკარგა და აუტანელი ეჭვი გულს უღრღნიდა. იმ დღიდან მეც დავკარგე სულის სიმშვიდე და სინიდისის ქენჯნა დღე და ღამ მოსვენებას არ მაძლევდა. რაც დრო მიდიოდა, უფრო ვრწმუნდებოდი, რომ ამ ოჯახის უბედურობის მიზეზი მე ვიყავი. მისი ცხოვრება სრულიად შეიცვალა: მუდამ მთვრალი, მთელ დროს რესტორანსა და ქუჩაში ატარებდა, სამსახურზე გული აიცრუვა... მე ვიტანჯებოდი...

გავიდა ერთი თვე. გადავწყვიტე—აღარ შევუშინდე პირად შეურაცხყოფას, მივიდე მასთან სახლში და ყველაფერი ერთხელ კიდევ ავუხსნა და დავუმტკიცო, რომ მისი ოჯახი წმინდა და პატიოსანია.

ოთახიდან გამოვედი, მაგრამ ფეხები აღარ მემორჩილებოდა... ყოველ ათ ნაბიჯზე ვდგებოდი და ჩემს თავს ვეკითხებოდი: „დაგიჯერებს კი? იქნება ამით უფრო გავამწვავო მათი დამოკიდებულება? განა დაერწმუნება ჩემ წრფელსა და და პატიოსან ალსარებას?“ ამ ფიქრებით თავდავიწყებულმა, როგორც იყო, მივაწიე იმის სახლამდე მაგრამ ზარის დასარეკად ხელი აღარ მემორჩილებოდა. მე მეშინოდა. ბოლოს დავძლიე ჩემს თავს, და ის იყო, უნდა ზარი დამერეკა—რაღაც საშინელი ჩხრიალი მომესმა... მეორე, მესამე... სახლში რაღაცას ამტვრევდნენ. მე გავშეშდი... ერთ წუთს ყველაფერი მიწყნარდა.

— უსინიდისო... გაფუჭებულო... ზნედაცემულო!.. მომესმა სახლიდან. ეს იყო ჩემი გმირობის ნაყოფი- ასე ელერსებოდა ქმარი საყვარელ ცოლს, თვალებზე რაღაც ბურუსივით გადამეფარა და კედელს მივეყრდნე.

— სთქვი... სთქვი, შე როსკიპო, თორემ დაგახრჩობ!.. სთქვი, შენი საყვარელი იყო? ჩახლეწილის ხმით ყვიროდა ქმარი.

— მომკალი... ღვთის გულისათვის, ბარემ მომკალი და მომარჩინე ამ ტანჯვას... ემუდარებოდა ქალი.

— დაგახრჩობ, შე ნამუსახდილო! მხეცივით დაიგმინა ქმარმა... საზარელი კივილი გაისმა. ბავშვების ტირილმა მას ბანი მისცა... ჯოჯოხეთი იყო. აივანზე ვიღაც აჩქარებულად დადიოდა.

ეს სულ ჩემი ბრალი იყო... მე დავიწყე კომედია—მევე შორიდან დრამას ვისმენდი.

— როსკიპი... ნამუსახდილი... გარყვნილი... საყვარლები!!. დაიყვირა მან და ოთახში შევარდა.

— ააჰ... მომესმა მისუსტებული, უღონო, გულიდან ამონაგლეჯი კვნესა ქალისა და ყველაფერი დადუმდა.

მე-კი, ლაჩარს, ზნედაცემულს, სულმდაბალს თვალები ცრემლით ამევსო და როგორც დამფრთხალი პირუტყვი შინისაკენ გამოვიქეცი“.

ვანო დაჩუმდა და სავარძელში უღონოდ დაეშვა. მეც მწარე ფიქრებმა შემიპყრო....

ვ. შალიკაშვილი.

წინააღმდეგ უსასტიკეს ზომების მიღების საჭიროება.

„ნოვ. ობოზრ.“, უეჭველია, გაწიწმატდება, როცა ზემო აღნიშნულ ბრალდებას წაიკითხავს, მაგრამ ფაქტებს ვერსაით ვერ წაუვა: ადგილობრივ რუსულ გაზეთების ქორებმა, ტენდენციურმა წერილებმა და ყვირილმა უფრო გაამწვავეს სომეხ-თათართა მტრული ურთიერთობა.

და განა მარტო „სლოვო“ და ჩვენი გაზეთია ამ აზრისა? ვარწმუნებთ „ნოვ. ობოზრ.“-ს, რომ ბევრი მიუდგომელი და გულწრფელი ადამიანი კავკასიის ყველა ერთა ასე ფიქრობს. ამჟამად გაზეთს მოვაგონებთ მხოლოდ ერთ მაგალითს. მაისში განჯიდან ჩამოიჭრა მთელი დეპუტაცია თათრებისა და სომხებისგან შემდგარი, რომელმაც ჩამოიტანა წერილი 528 კაცისგან ხელმოწერილი; დეპუტაცია ჩვენს რედაქციაშიაც იყო და გვთხოვა დაგვებეჭდა მათი საერთო წერილი, რომელიც შემდეგ პროტესტს აცხადებდა: „6—9 თებერვალს, ბაქოში რომ საშინელი ამბები ხდებოდა, როგორც კავკასიის, ისე რუსეთის გაზეთებში იბეჭდებოდა დეპეშები და ამბები მეტად ტენდენციურის ხასიათისა; იბეჭდებოდა იმ მიზნით, რომ გაემწვავებინათ მდგომარეობა, გამოეწვიათ ცუდი ვნებები; ამისთვის ხან ერთ ერს ხან მეორეს სახავდნენ დამნაშავედ და აქეზებდნენ ერთმანეთზე. ვუცხადებთ-რა ზიზღს ტენდენციურ ხმების გამავრცელებელთ“ და სხვა... დეპუტატებმა პირადად ბევრი მაგალითი დაგვისახელეს და გვითხრეს: ყოვლად შეუძლებელია გულწრფელი მორიგება, რადგან დღე არ გადის ისე, რომ ან ტფილისის, ან ბაქოს რომელიმე გაზეთმა ფრიად ამაღელვებელი რამ არ დაჰბეჭდოს ამა თუ იმ მეზობელ ერის წინააღმდეგო...

ახლა „ნოვ. ობოზრ.“ წინადადებას იძლევა. მოხდეს კავკასიის ყველა ერთა წარმომადგენლების კრება, რომელმაც უნდა ითავოს გადამტერებულ ერების შერიგებაო. ვკითხოთ ერთი ამ გაზეთს: როგორ უნდა მიიღონ ეს წინადადება თუნდ თათრებმა, რომლებსაც გაზეთი ოსმალთა ავანგარდობას სწამებს, ქრისტიანთა შეურიგებელ მტრებად სახავს და სხვა?! უეჭველია, თათრები ფარისევლობას დაინახავენ ამ წინადადებაში და მომავალ „საერთაშორისო კრებასაც“ იგივე ტრაგი-კომიკური ხასიათი ექნება, როგორიც სომეხ-თათართა ეხლანდელ შემარიგებელ კომიტეტებს აქვთ...

დასასრულ წერილის ავტორი ამბობს, და ჩვენც სავსებით ვეთანხმებით მას, რომ მშვიდ კულტურულ ცხოვრების დამყარებას დიდად დააბრკოლებს, თუ ადგილობრივმა პრესსამ არ შესცვალა „თავისი პოლიტიკა“ და „წაქეზება“-წასისინებაზე ხელი არ აიღოვო.

მხოლოდ, ჩვენის აზრით, საჭიროა შეცვლილიქნას მიკერძოვებითი „პოლიტიკა“ არა მარტო პრესსისა, არამედ იმგვარ პირთაც, რომლებსაც ოფიციალურადაც კი „ვიგოვორს“ აძლევენ განზრახ შეთხზულ ტყუილებისა და დაბეზღებისათვის...

პროექტი

უმთავრეს საფუძველთა წესდებულებისათვის ადგილობრივ საერობო თვითმართველობისა ქუთაისის გუბერნიაში *).

1. საერობო დაწესებულებათა ტერრიტორია.

1. საერობო დაწესებულებათა ტერრიტორიად ჩაითვლება: საბოქაულო, მაზრა და გუბერნია.

2. ტერრიტორია საერობო საბოქაულოსი, მაზრისა და გუბერნიისა შემოიფარგლება იმავე საზღვრებით, რა საზღვრებშიაც არის არსებული ადმინისტრატიული საბოქაულო, მაზრა და გუბერნია. შემდეგში ტერრიტორია საერობო საბოქაულოსი და მაზრისა და აგრეთვე რიცხვი საბოქაულოთა შესაძლოა შეცვლილ იქმნეს გუბერნიის ერობის კრების დადგენილებისა დაგვარად, ხოლო ტერრიტორია საერობო გუბერნიათა—საოლქო კრების დადგენილების თანახმად.

3. გუბერნიების საერობო დაწესებულებათ ეძლევა უფლება, ურთიერთის თანხმობით, შეერთდნენ ოლქის საერობო დაწესებულებად, ხოლო უკანასკნელთ შეადგინონ საერობო დაწესებულება, რომელიც იქმნება საერთო მთელის ამიერ-კავკასიისთვის.

2. ორგანოები საერობო თვითმართველობისა.

4. საერობო თვითმართველობის ორგანოებათ ჩაითვლება: საერობო კრება, საერობო გამგეობა და საგანგებო კომისიები.

5. საერობო კრებები შესდგება: საერობო ხმოსანთაგან, რომელნიცირჩევენ თავმჯდომარეს თვის შორის: საერობო კრება უნდა გახსნას საერობო გამგეობის თავმჯდომარემ.

6. ხმოსანნი საბოქაულოსი, მაზრისა, გუბერნიისა და ოლქის საერობო კრებისა უნდა არჩეულ იქმნენ საბოქაულო საარჩევნო კრებაში იმ პირობით, რომ პროპორციონალური წარმომადგენლობა დაცულ იყოს.

7. თვითეულს საბოქაულოში თანხმად მაზრის საერობო კრების დადგენილებისა დაინიშნება ერთი, ანუ რამდენიმე საარჩევნო კრება.

8. საარჩევნო კრება უნდა გახსნას ადგილობრივმა, ანუ უახლობელესმა მომრიგებელმა მსაჯულმა, ანუ სამსაჯულოს მომრიგებელ გამგემ, რომელიც მოიწვევს ამომრჩეველთ, დანიშნონ თავის შორის კრების თავმჯდომარე.

9. რაოდენობა ხმოსანთა რიცხვისა დამოკიდებულია მცხოვრებთა რიცხვის რაოდენობისაგან, ხოლო იმ პირობით, რომ საბოქაულო კრება არ აღემატოს 15—30, სამაზრო 50—80 და საოლქო 80—120 ხმოსანთა რიცხვს.

შენიშვნა. ქუთაისის გუბერნიაში ერობის შემოღების დროს, რაოდენობა ხმოსანთა რიცხვისა საბოქაულოსი, მაზრისა და საგუბერნიო კრების დადგინდება მეცხრე მუხლში მოხსენებულ უმაღლესს ზომაში შესაფერ საერობო კრებებისათვის. ხოლო რაოდენობა ოლქის ხმოსანთა რიცხვისა დადგინდება გუბერნიის საერობო დაწესებულებათა ურთიერთის თანხმობით, რომელნიც შეერთებიან და შეადგენენ საოლქო ერობას. შემდეგ საბოქაულო ხმოსანთა რიცხვის რაოდენობა განისაზღვრება მაზრის საერობო კრებისაგან, სამაზრო კრების ხმოსანთა რიცხვი—გუბერნიის კრებისაგან და რიცხვი ხმოსანთა, საგუბერნიო საოლქო კრებაში—საოლქო კრებისაგან.

10. ამომრჩევლად საბოქაულო საარჩევნო კრებაში შეუძლია იქმნეს ყველა, ვისაც კი ამ აღნიშნულ საბოქაულო ტერრიტორიაზე უცხოვრია არა ნაკლებ ერთის წლისა.

შენიშვნა. ქალაქის საარჩევნო კრებაში საერობო ხმოსანთა ამოსარჩევად უფლება აქვსთ მონაწილეობა მიიღონ ყველამ ვისაც წელიწადზე ნაკლებიც უცხოვრია ქალაქში და არა ნაკლებ ექვსის თვისა.

11. ამორჩევის უფლება მიენიჭებათ სრულ-წლოვანთა ორისავე სქესის წარმომადგენელთა, რომელნიც უფლება-აყრილნი არ არიან და სამართალსა და გამოძიების ქვეშ არ იმყოფებიან.

შენიშვნა. ეს უფლების შეკვეცა არ შეეხება იმათ, ვინც სამსჯავროსაგან დასჯილია, ანუ სამართალსა და გამოძიებაში მიცემულია პოლიტიკურის, განა სარწმუნოების საქმისა გამო.

12. ადმინისტრაციისა და პოლიციის მოხელეებს, აგრეთვე პროკურატურის წარმომადგენლებს ამომრჩევლად არ შეუძლიანთ იქმნენ.

13. თვითოეულს მონაწილეს საარჩევნო კრებაში უფლება აქვს არჩეულ იქმნეს ხმოსნად.

14. ხმოსანთ შეუძლიანთ იმდენი სასყიდელი მიიღონ (დღიური და სამგზავრო) სათანადო საარჩევნო კრებათაგან, რამდენსაც ეს უკანასკნელნი გაუჩენენ.

15. საერობო გამგეობა შესდგება: თავმჯდომარისა და წევრთაგან, რომელნიც არჩეულ უნდა იქმნენ სათანადო საერობო კრებისაგან, არა მხოლოდ ხმოსანთა, არამედ ამომრჩეველთა შორისაც.

16. კრებათაგან არჩეულნი მოხელენი არ საჭიროებენ, რომ იგინი დამტკიცებულ იქმნენ ადმინისტრაციისაგან.

17. საერობო კრებებს უფლება აქვთ შეადგინონ საგანგებო კომისიები (სამოსწავლო, საექიმო, საგრონომო, სასტატისტიკო და სხ.).

18. ამგვარ კომისიებს შეადგენენ: საერობო გამგეობის წევრნი და საერობო ხმოსნები, არჩეულნი საერობო კრებებისაგან, საერობოსაგან დაქირავებულ მოსამსახურეთა წარმომადგენელნი (მასწავლებელნი, ექიმები, აგრონომები და სხ.) არჩეულნი ამ უკანასკნელთა მიერ და კომისიებისაგან მოწვეულ კერძო მცოდნე პირნი. კომისიებს ყველა წევრებს თანასწორი გადამწყვეტი ხმა აქვთ.

19. ორგანიზაცია და კომპეტენცია თვითოეულ კომიისა განისაზღვრება განსაკუთრებულის ინსტრუქციით, რომელიც უნდა შესდგეს სათანადო საერობო კრებისაგან.

20. საერობო კრების დადგენილებით შეიძლება მოწვეულ იქმნენ საერობო მოღვაწეთა კრებები, მცოდნე კერძო პირთა თანადასწრებით.

3. საერობო შემოსავალი.

21. საერობო შემოსავალს შეადგენს: ა) შემოსავალი საერობო თანხისა და ქონებისაგან; ბ) ბაჟი იმ სამსახურისა და სარგებლობისათვის, რომელსაც საერობო დაწესებულება გაუწევს; გ) საერობო გადასახადი საუფლისწულო, მონასტრებისა, სოფლის საზოგადოებათა და კერძო მესაკუთრეთა მიწებზე, სამრეწველოსა და სავაჭროებზე; დ) პროგრესსიული გადასახადი იმ პირებზე, რომელნიც საერობო ოლქის ფარგალში სცხოვრობენ და წლიური შემოსავალი აქვსთ არა ნაკლებ 300 მანათისა; ე) შემწეობა სახელმწიფო ხაზინისაგან რამდენისამე %-ისა, იმ შემოსავლისაგან, რომელსაც აძლევინებს სახელმწიფო საერობო ოლქებში მცხოვრებთა პირდაპირსა და არაპირდაპირს გადასახადთ და ვ) შემოწირულებანი საზოგადოებათა და კერძო პირთაგან; ზ) აგრეთვე ყოველგვარი შემოსავალი, სათანადო საერობო კრების-მიერ დაწესებული.

22. სახელმწიფო მიწები მადნებით და ტყეებით გადადის გუბერნიის ერობის ხელში, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა საოლქო საერობო შესდგება,—ამ უკანასკნელის მფლობელობაში.

საერობო დაწესებულებათა განსაგებელი საგნები

23. ერობა განაგებს ყველა იმ საქმეს, რომელიც შეეხება ადგილობრივ სარგებლობასა და საჭიროებას. კერძოდ: 1) იგი განაგებს საერობო გადასახადს; 2) საერობო თანხასა და ქონებას; 3) ზრუნავს, რომ ხალხი არ დაიმშეს; 4) ზრუნავს ხალხის ჯანმრთელობისთვის 5) განაგებს საბეითლო საქმეებს; 6) განაგებს პირველდაწყებით, დაბალ ხალხის სასწავლებლებს (საზოგადო განმანათლებელთ და პროფესსიონალურთ), რომელნიც საერობო ხარჯით ინახებიან; განაგებს აგრეთვე მთლად სკოლას გარეშე განმანათლებელ დაწესებულებათა ადმინისტრატიულის, საოჯახოს და სამოსწავლო მხრივ; აარსებს საშუალოსა და უმაღლეს სასწავლებლებს, ზრუნავს იმ საშუალო სასწავლებელთათვის, რომელნიც ინახებიან ერობის ხარჯით; იღებს მონაწილეობას უმაღლეს სასწავლებელთა საქმეში, როდესაც იგი ერობის ხარჯით არის დაარსებული, დანიშნავს არჩეულს თვის შორის დეპუტატებს, რომელნიც მონაწილეობას მიიღებენ სასწავლებელთა საბჭოში 7, 8) მოაწყობს მცხოვრებთათვის იურიდიულსა და აგრონომიულ დახმარებას; 9) წვრილ კრედიტს; 10) სამელიორაციო კრედიტს; 11) საერობო დაზღვევას; 12) განაგებს გზებს, რომელნიც საერობო ოლქის ფარგალში შედიან (მიმოსვლას წყალსა თუ ხმელეთზე, გზატკეცილთ და საერობო გზებსა და რკინის გზებსა და სხ.), გარდა სახაზინო და კერძო პირთა რკინის გზათა; მიიღებს მონაწილეობას სახელმწიფო რკინის გზების გამგეობაში, რომელნიც ეკუთვნიან ხაზინას, თუ კერძო კაცს, რისთვისაც ერობა ნიშნავს გამგეობაში მონაწილეობის მისაღებად და ტარიფის შესამუშავებლად თავის წარმომადგენელთ; 13) განაგებს საერობო ფოსტას, ტელეგრაფს და ტელეფონს, რომელნიც მოწყობილნი არიან საერობო ხარჯით; 14) განაგებს უმიწაწყლოთა დასახლებას და გლეხთათვის ადგილის მოპოვებას; 15) ზრუნავს საზოგადო მშვიდობიანობისათვის; 16) ზრუნავს ცეცხლისაგან დაცვას; 17) ზრუნავს განვითარდეს ვაჭრობა და მრეწველობა; 18) ზრუნავს გაჭირვებულთა და დავრდომილთა თავშესაფარისათვის; 19) ზრუნავს, რომ სასტატისტიკო, საბუნებისმეტყველო, საისტორიო და სხვა სამეცნიერო გამოკვლევა მოახდინოს; 20) მიიღებს მონაწილეობას საერობო ფარგალში მართლმსაჯულების საქმეში. შეადგენს ნაფიც მსაჯულთა სიას, აარჩევინებს საერობო კრებების მომრიგებელს, საბოქაულო და საპატიო მსაჯულებს.

24. 23 §-ში აღნიშნულ საქმეთა, რომელნიც შეეხებიან მხოლოდ ერთს საბოქაულოს, განაგებს საბოქაულო საერობო დაწესებულება; საქმეთა, რომელნიც შეეხებიან რამდენსამე საბოქაულოს, ანუ მთელს მაზრას, განაგებს მაზრის საერობო დაწესებულება; საქმეთა, რომელნიც შეეხებიან რამდენსამე მაზრას, ანუ მთელს გუბერნიას—განაგებს გუბერნიის დაწესებულება და საქმეთა, რომელნიც შეეხებიან რამდენსამე გუბერნიას ანუ ოლქს, განაგებს საოლქო საერობო დაწესებულება, სადაც კი იგი არის დაარსებული.

5. ხარისხი საერობო დაწესებულებათა უფლებისა.

25. საერობო დაწესებულებათ ეძლევათ უფლება გამოსცენ წიგნაკები, ბროშურები, ჟურნალები და გაზეთები უცენზუროდ.

26. საერობო კრებას თავისს სამოქმედო ფარგალში ეძლევა უფლება გამოსცეს ადგილობრივ მცხოვრებთა და ადგილობრივ საერობო დაწესებულებათათვის სავალდებულო დადგენილებანი.

27. საერობო კრებას საოლქო კრების შემწეობით ეძლევა უფლება აღძრას შუამდგომლობა, რათა გამოცემულ იქმნეს რომელიმე ახალი კანონი, ხოლო სადაც არ არსებობს საოლქო კრება, იმ შემთხვევაში გუბერნიის კრებამ უნდა იკისროს ამგვარი შუამდგომლობა.

28. საერობო კრებათა უფლება აქვსთ წინასწარ იქონიონ მსჯელობა კანონპროექტთა შესახებ.. კანონპროექტი წარეგზავნება პირდაპირ მაზრის საერობო გამგეობას და მოხსენდება უახლობელესს სამაზრო კრებას. თუ საჭიროება მოითხოვს, სამაზრო კრებას შეუძლია მოსთხოვოს საბოქაულო კრებებს თვისი დასკვნა; სამაზრო საერობოთა დასკვნა მოხსენდება საგუბერნიო კრებათა, ხოლო დასკვნა საგუბერნიო კრებათა—საოლქო კრებას.

29. საქმეთა განხილვას დროს, საერობო კრებაში ხმოსანთ შეუძლიათ თავისი აზრი გამოსთქვან იმ ენაზე, რომელიც მათ უფრო ეხერხებათ, ხოლო ნალაპარაკევი უნდა გადათარგმნილ იქმნეს უმრავლესობისათვის გასაგებ ენაზე, რომელიც არის ადგილობრივ მცხოვრებთათვის მკვიდრი ენა.

30. საერობო კრების სავალდებულო დადგენილება და საზოგადოდ ყველა განკარგულება საერობო თვითმართველობის ორგანოთა, თუ საჭიროება მოითხოვს, რომ ძალად იქმნეს ასრულებული, იმ შემთხვევაში პოლიცია ვალდებულია სისრულეში მოიყვანოს იგი (ქალაქში ქალაქის პოლიცია), რომელიც დაექვემდებარება საერობო დაწესებულებათა.

31. საერობო პოლიციის მოხელენი, საერობო თანხიდან იღებენ ჯამაგირს, იმათ ნიშნავს საერობო გამგეობა, რომლის განკარგულებაში უნდა იქმნენ პოლიციის მოხელენი.

6 საერობო თვითმართველობის კონტროლი.

32. საერობო დაწესებულებანი შემოფარგლულს მათთვის საქმეთა წრეში მოქმედებენ დამოუკიდებლად.

33. კონტროლი საერობო დაწესებულებათა კანონიერ მოქმედებისა ეკუთვნის კავკასიაში მთავრობის უმაღლესს წარმომადგენელს.

34. ყველა დადგენილება საბოქაულო, სამაზრო, საგუბერნიო და საოლქო კრებათა წარედგინება კოპიოდ უმაღლესის უფლების წარმომადგენელს კავკასიაში.

35. საერობო კრებათა დადგენილება კანონიერად ჩაირაცხება, თუ რომ ორის კვირის განმავლობაში, დადგენილების კოპიოს მიღებიდგან, უმაღლესის უფლების წარმომადგენლისაგან უთანხმოება არ იქმნა გამოცხადებული.

36. თუ რომ უმაღლეს უფლების წარმომადგენელმა უთანხმოება განაცხადა შესახებ საერობო კრების დადგენილების კანონიერებისა, ეს დადგენილება უმაღლესის მთავრობის წარმომადგენლის პროტესტითურთ უნდა განხილულ იქნეს უმაღლესის საერობო კრების მიერ (მაგალითად: საბოქაულო კრებათა დადგენილება უნდა განიხილოს სამაზრო კრებაში, სამაზროსი,—საგუბერნიოში და საგუბერნიოსი—საოლქოში), რომელიც ან ამტკიცებს და ან არ ამტკიცებს ამ დადგენილებას. ხოლო საოლქო საერობო კრებათა დადგენილებანი, უმაღლესის მთავრობის წარმომადგენლის მიერ უარყოფილნი, ხელმეორედ განხილულ უნდა იქმნენ ისევე საოლქო კრებათა მიერ, რომელნიც საბოლოოდ სწყვეტს საქმეს.

37. საჩივარი საერობო გამგეობისა და საგანგებო საერობო კომისიების განკარგულებათა შესახებ უნდა შეტანილ იქმნეს საერობო კრებაში.

38. საჩივარი საერობო კრების განკარგულებათა და დადგენილებათა შესახებ უნდა შეტანილ იქმნეს უმაღლესს საერობო კრებაში, ხოლო უმაღლეს საერობო კრების დადგენილების შესახებ საჩივარი უნდა შეტანილ იქმნეს სენატის 1 დეპარტამენტში.

---

*) ეს პროექტი მიიღო ქუთაისის მაზრის საბჭომ, შემდგარმა საერობო დაწესებულებათა საკითხის გასარკვევად.

რუსეთი

◆ ამ დღეებში რუსეთის ხაზინამ კიდევ გამოუშვა 70 მილიონ მანათის **ქაღალდის ფული.** ამ ჟამად მთელ რუსეთში 1,100 მილიონ მანათის ქაღალდის ფული ტრიალებს (რ. ს.).

◆ ტაგანროგის მაზრაში დაუპატიმრებიათ 11 გლეხი, რომელნიც ვოლოსტის კანცელარიას დასცემიან და **იარაღი წაულიათ.** ორი მათგანი დაჭრილია (რ. ვ.).

◆ სიმფეროპოლში, 3 აგვისტოს **ჩამოარჩვეს** ორი მატროსი ჯავშნოსან „პობედონოსცევ“-იდან (რ. ს.).

◆ ლიბავაში პოლიციამ **იარაღის საწყობი** აღმოაჩინა (ს.).

◆ სამხრეთ-რუსეთში **აუარებელი ხორბალი დარჩა გაუტანელი.** ვაგონები არ არის, ხორბალი კი ლპება. მარტო სამხრეთ აღმოსავლეთის რკინის გზაზე იმდენი ხორბალი მოგროვდა, რომ იმის გატანას 35,920 ვაგონი დასჭირდება (ს.).

◆ ცნობილი ისტორიკოსი, პროფესორი ბილიუკოვი და სამთო ინსტიტუტის ორდინარი პროფესორი გორდენკო **საპყრობილიდან გამოუშვეს** (ს. ო.).

◆ ყირიმის ყველა ქალაქები **ჯარს თხოულობენ** ჯარის შენახვას ქალაქები თავის თავზე კისრულობენ (ს. ო.).

◆ კაშინის პოლიცმეისტერმა ქალაქში **გაზეთების გაგზავნა აკრძალა** იმ მოსაზრებით, რომ „გაზეთები ხალხისთვის სულ მეტი ბარგია და ზარალის მეტი არა მოაქვს რაო“. გაზეთის დამტარებლებმა ტვერის გუბერნატორთან იჩივლეს, მაგრამ გუბერნატორმა პოლიცმეისტერის განკარგულება „კანონიერად“ იცნო (ს. ო.).

◆ 23 აგვისტოს კიშინოვში **ებრაელებსა და შავ რაზმელებს ჩხუბი მოსვლიათ.** ებრაელების მხრით 100-მდეა დაშავებული. შავ რაზმელებს პოლიცია ეხმარებოდა (ს. ო.).

◆ კოვნოში ერთი დრაგუნი ცხენით მიდიოდა ქუჩაში. ცხენი დაფრთხა და დრაგუნი გადმოაგდო. გამვლელებმა სიცილი დაიწყეს. გაბრაზებული დრაგუნი წამოვარდა და **თოფის სროლა დაიწყო. მოკლული აღმოჩნდა** მოხუცი დედაკაცი, წერილების დამტარებელი და მძიმედ დაიჭრა ვაჭარი ქალი (ს. ო.).

ჟურნალ-გაზეთებიდან.

შვეცია ნორვეგიის საქმე და პროლეტარიატი. შვეციაში კაპიტალიზმმა მკვიდრად მოიკიდა ფეხი და იმის დამცველ ზედა-პალატასთან შვეციის პროლეტარიატს მედგარი ბრძოლა სჭირდება. საარჩევნო კანონი შვეციაში უფრო უსამართლოა, ვიდრე პრუსიაში, რის გამოც პროლეტარიატი თავგამოდებით იბრძვის საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოსაღებად. რაც შეეხება ნორვეგიის ბრძოლას პოლიტიკურ დამოკიდებულებისთვის, შვეციის შოვინისტებისა და შვეციის პროლეტარიატის შეხედულებათა შორის დიდი ხრამია. ამ ცოტა ხანში გოტებორგში მუშათა კონგრესი მოხდა, სადაც მუშა დელეგატმა ლიდ ფორსმა, სხვათა შორის სთქვა: „ჩვენ წამდაუწუმ სამშობლოს სიყვარულს გვაგონებენ და მოღალატეებს გვეძახიან მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ შოვინისტობისა და ბატონების სურვილებს წინა ვუდგევით. მაგრამ თუ ამ ბატონების მდგომარეობასა და მუშათა უუფლებობას მოვიგონებთ, ცხადი გახდება, რომ ჩვენ შეგვაძულებენ ჩვენს სამშობლოსაც და ყველა იმას, რაც მას შეეხება“. მთავრობას მშვენივრად ესმის მუშათა კლასის გადაწყვეტილება და, ცოტა არ იყოს, ეშინიან ნორვეგიის ძალით შენარჩუნებისა (ს. ო.).

საერთაშორისო საკითხი. როგორც ვიცით, ვარშავაში ჩამოარჩვეს გერმანიის ქვეშევრდომი კასპრჟაკი, რომელმაც პოლიციელი მოჰკლა. თუმცა ზემოხსენებული მკვლელობა ისეთ დროს მოხდა, როცა ვარშავაში ჯერ ომის წესები არ იყო შემოღებული, მაგრამ რუსეთის მთავრობამ კასპრჟაკი მაინც სამხედრო სასამართლოში მისცა. ამის გამო გერმანიაში ერთი ამბავი ატყდა. გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გერმანიის კანცლერს სთხოვა, საქმეში ჩაერიეთ და კასპრჟაკს უშველეთ რამეო. მაგრამ კანცლერი საქმეში არ ჩაერია, კასპრჟაკი კი ჩამოარჩვეს. ახლა გერმანიის პრესამ ეს საქმე ხელზე დაიხვია და პრინციპიალურად აღძრა საკითხი, აქვს თუ არა იურიდიული უფლება ამა თუ იმ სახელმწიფოს მეორე სახელმწიფოს ქვეშევრდომი უსამართლოდ დასაჯოსო. ამ საკითხს დიდი ყურადღება მიაქცია სოციალ-დემოკრატიის გაზეთმა „ფორვარტ“-მა, რომელმაც რუსეთის მთავრობის თვითნებობასა და ძალმომრეობას რამდენიმე ცხარე წერილი უძღვნა. სხვა გაზეთებიც ამ ამბის გამო აღელვებულნი არიან და ერთხმად აღნიშნავენ რუსეთის მთავრობის-მიერ ჩადენილ უსამართლობასა და ძალმომრეობას.

ჰუნგრეთის სოციალ-დემოკრატია და საყოველთაო საარჩევნო უფლება. თუ როგორ უყურებს ჰუნგრეთის სოციალ-დემოკრატული პარტია საყოველთაო საარჩევნო უფლებასა და გაერთიანებულ ოპოზიციას, სჩანს შემდეგ რეზოლუციიდან, რომელიც ამ დღეებში მუშათა პარტიამ მიიღო ბუდაპეშტის კონგრესზე: „საქმის მდგომარეობამ ჰუნგრეთში იმ წერტილს მიაღწია, რომ მთავრობის ცრუ-პარლამენტარიზმის სისტემამ თავისი სრული უვარგისობა დაამტკიცა; ამიერიდან საქმის გამოკეთება შეუძლიან მხოლოდ საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და ფარულ კენჭისყრაზე დამყარებულ დემოკრატულ კონსტიტუციას. კრება გადაჭრით აცხადებს, რომ პროლეტარიატი მზად არის მედგარი ბრძოლა გამოუცხადოს იმ მთავრობას ან პარლამენტალურ უმეტესობას, რომელიც ამ ახლო მომავალში არ განიზრახავს საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღებას. ამ ხანად ეს ბრძოლა მიმართულია შეერთებულ უმეტესობის წინააღმდეგ, რადგან ის წინააღმდეგია დაუყოვნებლივ საარჩევნო რეფორმის შემოღებისა; ნამდვილად კი ამ რეფორმის მოხდენა მხოლოდ მისგან არის დამოკიდებული“.

ღამის დეპეშები

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

9 სექტემბერი.

პეტერბურგი, 9 სექტემბერი. კერძო კრების თავისუფლების პროექტი: 1) ვისაც კრების გამართვა სურს, ამის შესახებ არა უგვიანეს სამის დღისა კრების გამართვამდე ადგილობრივ პოლიციის უფროსს უნდა შეატყობინოს. თუ კრება იმ ადგილას არ იმართება, სადაც პოლიციის უფროსი იმყოფება, განცხადება უსათუოდ შვიდ დღემდე უნდა წარედგინოს; 2) ადგილობრივ პოლიციას ნება ეძლევა კრებაზე გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი, რომელსაც უსათუოდ ისეთი ადგილი უნდა დაეთმოს, საიდანაც [illegible] თვალყურის დევნა ადვილი იქნება. პოლიციის წარმომადგენელს, საჭიროებისამებრ, პოლიციელებიც ეხმარებიან. თუ წარმომადგენელმა მოინდომა, უსათუოდ მოლაპარაკის ვინაობა და ადგილ-საცხოვრებელი უნდა აუწყონ; 3) კრების გამმართველმა, ან თავმჯდომარემ უკანონო საქციელებს ყოველგვარი წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს და, თუ საჭირო გახდება, კრება დახუროს კიდეც, თუ კრებამ თავის განსახილველ საგნებს გადაუხვია ან ისეთი აზრები წარმოითქვა, რომლებიც ერთს კლასს მეორეზე ამხედრებენ, თუ კრებაზე მთავრობის საწინააღმდეგო გამოცემების გავრცელება დაიწყეს, ან კიდევ მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებით კრებაზე წესიერება დაირღვა; 4) ზემოთ ჩამოთვლილ მოსაზრებისა გამო პოლიციის წარმომადგენელს ნება ეძლევა, კრების დახურვა მოითხოვოს. კრების გამმართველი, ან თავმჯდომარე ვალდებულია წარმომადგენელის მოთხოვნას დაემორჩილოს. წინააღმდეგ შემთხვევაში უკანასკნელს ნება ეძლევა, კრება თვითონ დახუროს.

სინოდში შუამავლობენ, რომ საეკლესიო ფულებით სარგებლობაში სამღვდელოების კომპეტენციას ფრთები შეეკვეცოსო.

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

ოტტოვა, 84 სექტემბერი. კანადის მთავრობამ დეპეშით ლონდონში გრაფს მიმართა და სთხოვა, ბრიტანიის მთავრობამ ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებას, რომ იაპონელებმა სახალინისკენ მიმავალი მარილით დატვირთული კანადის გემი დაიჭირეს.

პეტერბურგი, 9 სექტემბერი. 14 სექტემბერს პეტერბურგში გუბერნიის თავად აზნაურთა კრება მოხდება. განსახილველია საგნები, რომლებიც სახელმწიფო სათათბიროს დებულებასთან არიან დაკავშირებულნი.

მოსკოვი, 8 სექტემბერი. ნობელმა განაცხადა, რომ მან წელს შეკვეთილ ნავთის 60% მიცემა შეუძლიან; დანარჩენს კი შემდეგ წლისთვის გადასდებს იმავე ფასით, როგორც აქამდის იყიდებოდა. მსურველებს ეხლავე შეუძლიანთ იყიდონ ფუთი 57 კაპეიკად.

ბადენ-ბადენი, 8 სექტემბერი. შუადღისას ბიულოვმა ბერლინიდან მოსული იაპონიის ელჩი მიიღო.

სტამბოლი, 8 სექტემბერი. აქ და სოფიაში იმ გარემოებას, რომ ბულგარიის ეგზარხმა სერბიის სოფიაში მყოფი დიპლომატიური აგენტი, სიმიჩი ინახულა, დიდს მნიშვნელობას აძლევენ, რადგანაც ეგზარხს მაკედონიის ბულგარელებზე ძალიან დიდი გავლენა აქვს. ორივე მხარე დარწმუნებულია, რომ მაკედონიაში ბულგარელებსა და სერბებს შორის კეთილი განწყობილება ჩამოვარდება. სულთანის მოკვლის განზრახვის საქმის გამო დატუსაღებულ სომხის ჩვენებით გაჩხრიკეს იმ ინგლისელის სახლი, ვისთანაც ის მსახურებდა, და აღმოაჩინეს: 15 გაუტენავი ყუმბარა, 15 ბოთლი ასაფეთქებელ მასალით და აუარებელი სომხური წიგნაკები. სომხებს ისევ ატუსაღებენ.

პეტერბურგი. მინისტრთა კომიტეტის საქმეთა გამგე, ბარონი ნოლდე საჩქაროდ კავკასიისაკენ გაემართა.—გრაფ ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი სახელმწიფო სათათბიროში წარმომადგენლობაზე კენჭს არ იყრის.

ტოკიო 9 სექტემბერი. ტოკიოში ორი გაზეთისა და პროვინციაში ცამეტი გაზეთის გამოცემა მოსპეს. სამხედრო წესების მოსპობის შესახებ ხალხის მიერ წარდგენილ განცხადების გამო დღეს მინისტრებსა და საიდუმლო საბჭოს წევრებს კრება ჰქონდათ.

ლონდონი, 9 სექტემბერი. „დეილი ტელეგრაფ“-მა განაცხადა, რომ ინგლის-რუსეთის შეთანხმება საფრანგეთის ხალხს ძალიან გაახარებს. ინგლისი დარდანელის სრუტის გახსნის წინააღმდეგი არ გახდებოდა, ეს პროექტი რომ ყველა იმ სახელმწიფოებს მიეღოთ, რომლებმაც პარიზის ტრაქტატს ხელი მოაწერეს.

პარიზი, 8 სექტემბერი. ხმა დადის, რომ ბერლინში იმპერატორი ვილჰელმი ვიტტეს მიიღებს.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

განცხადებანი

Въ Центральной книжной торговлѣ въ Тифлисѣ заготовлены учебники, учебныя пособія и книги для домашняго чтенія учащихся въ среднихъ и низшихъ учебныхъ заведеніяхъ. Тамъ же имѣются и постоянно получаются общедоступныя изданія по современнымъ общественнымъ вопросамъ. (3—14).

ავჭალის ქუჩაზე დაარსდა
ჭრა-კერვის ახალი სკოლა
ვასწავლით თეთრეულობის კერვას და აბრეშუმის ძაფებითა და ოქრომკედით მოქარგვას. სკოლაში სამი განყოფილებაა. სწავლის ფასი—შეძლებისამებრ. მოწაფეებს მივიღებთ მხოლოდ 22 ღვინობისთვემდე.
ჩვენი ადრესი: ავჭალის ქუჩა, სახლი ყულუმბაროვისა № 33. 4—4.

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.

Дозволено цензурою Тифлисъ, 9 Сентября 1905 г.
ელექტრომბეჭდავი „ცისკარი“, ფრეილინის. ქ., № 5.